

გეორგ თორაკლი
DE PROFUNDIS



საქართველოს მნიშვნელობების ცენტრი

Georg Trakl
DE PROFUNDIS
Gedichte

Ins Georgische übertragen von
Dato Barbakadse

Diese Ausgabe wurde unterstützt von
GITTE WALTHERS

ეს გამოცემა განკუთვნილი არ არის
პოეზიის ბიზნესში დასაქმებულ მოკალმეთათვის.
წინამდებარე გამოცემა უცვლელად იმეორებს 2014
წლის ბილინგვურ გამოცემაში თავმოყრილ თარგმა-
ნებს. დამატებულია მხოლოდ ერთი ახალი თარგმანი,
სახელნოდებით ნაშუადღევს ნაჩურჩულევი, და გას-
წორებულია რამდენიმე კორექტურული შეცდომა.

გამომცემლობა უნივერსალი
თბილისი 2019

ISBN 978-9941-26-546-4

გეორგი თრაპლი

DE PROFUNDIS

ლექსები

გერმანულიდან თარგმნა
დათო ბარბაქაძემ

თარგმანების ეს მცირე კრებული მორიდებით და პატი-
ვისცემით ეძღვნება ჩემს მეგობარს, ბელა წიფურიას.

მთარგმნელი

მუსიკა მირაგელის ჩაღვი

საამოდ იმღერს შადრევანი. მტრედისფერ
ცაზე
გარინდებულან ფაფუკი და თეთრი
ლრუბლები.
ძველ ბალში უტყვად მიმოდიან მიმწუხრის
ჟამზე
დიდნიც, მცირენიც, საფიქრალით
დაბანგულები.

აქ წინაპართა მარმარილოს ქანდაკებანი
გარუხებულან. ზეცას სერავს ფრინველთა
გუნდი.
მკვდარი თვალებით ჩაჰუირკიტებს
დროდადრო ფავნი
ჩრდილებს, რომლებსაც გამოუჩენს ბალის
ბინდბუნდი.

მოეძარცვება ფოთლეული ბებერ ხეს
წითლად,
ბზრიალ-ბზრიალით მიაშურებს გაღებულ
სარკმელს.
სივრცეში ხანძრის ანარეკლი ვარვარებს
სისხლად

და მღვრიე, საზარ მოჩვენებებს ხატავს და
აკმევს.

სახლში ანაზდად შეაბიჯებს თეთრი უცნობი.
გავერანებულ დერეფანში ძალლი არ ცხრება.
მოახლე გოგო სანათს აქრობს,
ფიქრჩაუქრობი.
ლამით ყურს ისევ სონატების ჰანგები
სწვდება.

მცუსრის მელანდოლია

მკვდარ ტყეს, რომლითაც სანახები
გადაფარულა,
შემოჯარვია აჩრდილები, როგორც სხლტეები.
ფრთხილად ტოვებენ სამალავებს ტყის
ფრინველები,
და ნაკადულიც გასუსულა და გაპარულა

და მისდევს გვიმრებს, ბებერ ქვებსაც
გვერდს არ აუქცევს,
ვერცხლისფრად ბრწყინვავს და კამკამებს
ფოთოლწნულებში.
მალე მისი ხმა ჩაეცემა შავ უფსკრულებში –
ვინ იცის, იქნებ, ვარსკვლავიან ღამეს
გვაუწყებს.

ისე ჩანს, შავი ველ-მინდვრები არ
დამთავრდება,
მიმოფანტული აქ სოფლები, ჭაობი, ტბორი,
და გეჩვენება, აბრიალდა შენს წინ კოცონი.
გზებს გადასერავს მეყვსეულად ცივი ნათება.

იგრძნობა, ცაში რაღაც ხდება, რაღაც
მოძრაობს.

ველურ ფრინველთა ლეგიონი მიფრინავს
მრეში
ქვეყნიდან ლამაზ, საოცნებო, უცხო მხარეში.
ქარი ხრის ლერწამს, იმართება და ისევ
ზვაობს.

მავითარი ქალაქი

ქალაქში ძველი მოედნები მზიურად სდუმან.
ლრმად სილურჯეში და ოქროში ჩახშირებული,
გათანგული და ზღაპრულ ფიქრებს
დაშურებული
ჰაეროვანი მონაზვნები წიფლნარში სდუმან.

რუხი სინათლით მოლიცლიცე ეკლესიებში
სიკვდილის წმინდა სურათები თვალს ეგებება
და – დიდმთავართა მშვენიერი გერბების
წყება.
კვლავ გვირგვინები ელვარებენ ეკლესიებში.

ამოჩნდებიან ხის ცხენები შადრევნის
ირგვლივ.
ხეებს ყვავილი გაფურჩქვნიათ ცეცხლის
ენებად.
ხოლო სიზმრებით დაბნეული ცეროდენები
მიმწუხრზე წყნარად თამაშობენ შადრევნის
ირგვლივ.

გამოფენილან გოგონები, დგანან ჭიშკრებთან,
აცქერდებიან შიშნეულად ფერად ცხოვრებას.
მათი ნოტიო ბაგეები გასცემს ოცნებას

და, მოლოდინით აღსავსენი, დგანან
ჭიშკრებთან.

საცნაურია მოძაგძაგე ზარების ჟღერა,
ისმის მარშის ხმა და გუშაგთა გადაძახილი.
თითოეული უცხოელი დუმს თავდახრილი.
შორს, სილურჯეში ხანგრძლივია ორლანის
ჟღერა.

ინსტრუმენტები გარჯილან და ამღერებულან.
ბაღებში ლამაზ ბანოვანთა დაქრის სიცილი,
რიალ-რიალით, უხვი ფოთლით გარემოცული.
ნორჩი დედები მოკრძალებით ამღერებულან.

იდუმალ ხარობს ყვავილებით მორთულ
სარკმლებთან
გუნდრუკის, ფისის, იასამნის უცხო სურნელი.
დალლილ წამნამთა ვერცხლისფერი ციმციმი
ნელი
საჩინოვდება ყვავილებით მორთულ
სარკმლებთან.

მიზანებულ ოთახი

სარკმელი, ჭრელი ყვავილნარები,
ოთახი, სავსე ორდანის ხმებით.
ჩრდილები, ზღაპრულ გუნდს სადარები,
კედლის ფარდაგზე ცეცხლოვან ცეკვით.

ქარი ძრავს აბრიალებულ ბუჩქებს
და კოლოს კოშტი წუის, ზუზუნებს.
შორს, ველად, მოცლა არა აქვთ ცელებს,
ძველი მდინარე გაბმით დუდუნებს.

ეს ვისი სუნთქვა მომესათუთა?
მერცხლებს ცთომილი ნიშნები ნუსხავს.
იქ ოქროვანი ქვეყანა ტყეთა
უსაზღვრობაში წყნარად მიცურავს.

კვლებში ელავენ ცეცხლის ენები
და მოყვითალო ყველა ფარდაგმა
გასცა შეშლილი როკვა ფერების
და შემოალო კარი მავანმა.

დგას მსხლის, საკმევლის ტკბილი სურნელი.
სარკმელს და ზანდუკს ბინდი ეხება.
მხურვალე შუბლი ნელ-ნელა თეთრი
ვარსკვლავებისკენ გადმოიხრება.

ავტორიანი მიმწერი

ო, კვლავ მიმწერის წითელი ჟამი!
ვაზის ფოთოლი, ლურჯად ხვეული,
ღია სარკმელთან ნათობს, ირწევა,
მოჩვენებათა ბუდედ ქცეული.

მტვერი შმორიან თხრილებში ცეკვავს.
ქარი ზრიალით მინებს აწყდება.
როგორც ველური ცხენების რემას,
თეთრ ღრუბლებს აფრთხობს ელვათა წყება.

გუბურის სარკე ხმაურით ტყდება.
შეჰყაპყაპებენ სახლს თოლიები.
ცეცხლის მხედარი გორაკს მოსწყდება,
ტყეს მოებნევა ცეცხლის ფთილები.

ჰოსპიტალს ავსებს მოთქმა-ვაება.
ღამეს გასერავს ფრთა მტრედისფერი,
და სახურავებს თავს დააცხრება
კოკისპირული, ელვით ნაფერი.

შემოდგომაზე

ამონთებულან ღობურებთან მზესუმზირები,
მზენათელს წყნარად მისხდომიან

ავადმყოფები.

ხნულებს დამღერენ მუყაითად ქალთა რიგები,
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.

მოგიყვებიან ფრინველები შორეულ ამბებს,
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.
ეზო-კარიდან ვიოლინოს ჰანგები აღწევს.

დღეს ღვინომუქად იწურება ყურძნის
მტევნები.

სახე კაცისა აღსავსეა ლალი ფერებით.

დღეს ღვინომუქად იწურება ყურძნის

მტევნები.

ფართოდ განხვნილი დაშთენილან

საცხედრეები,

მზის სხივთა მიერ ნაჩუქურთმევ-ნაალერსევი.

ჩემი გული საღამობით

გლეხები

სარკმელს სიმწვანე და სიწითლე მოეფინება.
შავად შეკვამლულ და ჭერდაბალ დარბაზში
ერთგან
მოახლეები და გლეხები სადილად სხედან;
პური ტყდება და გრილ კათხებში ღვინო
ისხმება.

შუადღის ჟამია, მიცემული უღრმეს სიჩუმეს,
ხანად და ხანად ძუნწი სიტყვა ჩამოვარდება.
სარკმელში მოჩანს სავარგულთა მწირი ნათება
და - შორი ზეცა, ტყვიასავით მძიმე და მრუმე.

კერაზე ცეცხლი იკლაკნება და იგრიხება
და მიმობზუის ბუზთა გუნდი ერთხმა
ბზუილით.

გასუსულ ქალებს მორევიათ ჩლუნგი დუმილი
და ღვივის მათი საფეთქელი, სისხლით ივსება.

ხარბად მზირალი, წააწყდება ზოგჯერ თვალს
თვალი,
ძროხის ხვითქი რომ მოეფრქვევა ოთახს
მსუბუქად.
მსახური ლოცვას წამოიწყებს მონოტონურად,

ხოლო კარს მიღმა თავის სათქმელს ამბობს
მამალი.

და კვლავ - სათიბში, სადაც ხშირად ძრწოლა
შეიპყრობს
მათ, თავთავების ფორიაქში გამოხვეულებს,
და გამყინავად და თანაბრად მოქნეულ ცელებს
ხმა აქვთ იმ ცელის, ერთადერთი აჩრდილი რომ
ფლობს.

სიცოცხლის სული

ჩაშლა, ფოთლეულს მსუბუქად რომ
ჩამოაბნელებს, -
ტყეში ბინადრობს უშორესი მისი დუმილი.
მიინავლება, ვით აჩრდილი, მალე სოფელი.
დაიკოს ბაგე შავ ტოტნარში ჩუმად
მეტყველებს.

მიეფარება მალე მზერას კაცი ეული,
იქნებ მწყემსია, შავ ბილიკს რომ დასწრაფებია.
გამოაბიჯებს წყნარად მხეცი ხეთა ტევრიდან,
თვალი ღვთაებრივს სადაც ხედავს
გაოცებული.

ლურჯი მდინარე მილივლივებს, კოხტად
მარები,
მწუხრის ცა ღრუბლის გამოჩენით არის
მოცული;
და იქვე - სულის მდუმარება ანგელოზური.
ნადგურდებიან წარმავალი სურათ-ხატები.

გასხივოსნებული შემოდგომა

იღევა წელი, უხვი ბალებით
და ოქროს ღვინით ანამზევები,
და – მარტოსულის თანამგზავრები –
ირგვლივ ზღაპრულად სდუმან ტყეები.

გლეხკაცი ამბობს: ჩინებულია!
მწუხრის ზარებო, წყნარი, ხანგრძლივი
ხმით შეხვდით ბოლო ხალისს გულიანს.
უკვე ცას სერავს ფრინველთა მწკრივი.

სიყვარულისთვის სათნო ჟამი დგას.
ლურჯ მდინარეზე ლივლივა ნავში
ლამაზად ერთვის სურათი სურათს
და განიღვრება მდუმარებაში.

ტყისპირი

კარლ მინიხს

მრუმე წაბლნარი. ხანდაზმულები
დასრიალებენ ფრთხილად მზენელი
შემწუხრების ჟამს; კოხტა ფოთლები ირგვლივ
მსუბუქად ჭკნება და ხმება;
სასაფლაოზე შაშვი გარდაცვლილ ბიძაშვილს
ტკბილად შეეხუმრება,
ანგელას ცხედარს გულმოწურული აცილებს
ქერა მასწავლებელი.

ეკლესიების ვიტრაჟებიდან იმზერს სიკვდილის
წმინდა ხატება;
თუმც სისხლისფერი ფონი სარკმელთა ქუფრია
და სულს გლოვით აღავსებს.
დღეს დაკეტილი არის კარიბჭე. მნათე განაგებს
ტაძრის გასაღებს.
მოჩვენებებს კი ბალში დაიკო შინაურულად
ებაასება.

ძველ სარდაფებში ღვინო დგება და
ოქროსფერი და კამკამა ხდება,
ვაშლი სურნელებს. და სიხარული ცხრა მთას
იქიდან როდი ანათებს.

და მოუნუსხავთ უმალ ბავშვები ხანგრძლივ
მიმწუხრზე ნაამპობ ზღაპრებს;
ნაზ სიგიჟესაც გამოუჩნდება ხშირად ეს ოქრო
- ჭეშმარიტება.

მოედინება სილურჯე, სავსე რეზედებით და
ოთახებს სანთლის
შუქი ანათებს. და მორჩილთათვის უკვე მზად
არის სასუფეველი.
ტყისპირს სრიალით ეშვება თავქვე კაცი
მავანი, ბედი ეული;
დღე გაილია და ზღურბლზე ჩნდება
ანგელოზური სიმშვიდე ღამის.

სამახსოვრო ჩანაცერების ქველ წიგნში

დამიპრუნდები, მწუხარებავ, ისევ და ისევ,
ო, მორჩილება ეული სულის.

დასასრულად იწვის ოქროს დღე.

კეთილხმოვნებით და მსუბუქი შეშლილობით
აუღერებული,
თვინიერად მიეცემა ტკივილს მორჩილი.
მზერა მიაპყარ! ბინდდება უკვე.

მოგვიპრუნდება კვლავაც ლამე; მოთქვამს
მოკვდავი
და თანაუგრძნობს მსგავსი, მოკვდავი.

მოცახცახე, შემოდგომის
ვარსკვლავქვეშეთში,
უამთასვლის კვალად, თავი მიწყივ უფრო
მძიმედ ჩაეკიდება.

გარდასახვა

მე-2 რედაქცია

ბალები, წითლად დაფერილი, შემოდგომური:
სიცოცხლე სრულად წარმოჩნდება ამ სიჩუმეში.
კაცს ყავისფერი ლერწის ღერი უჭირავს ხელში,
მისი მზერა კი ყრუ ტკივილით არის მოცული.

მწუხრზე: ნაბიჯი, შავმა მიწამ რომელიც იცის,
წითელ წიფელთა მდუმარებას უეცრად
არღვევს.

ლურჯი ნადირი ცდილობს სიკვდილს
მუხლმოყრით დახვდეს,
შემაძრნუნებლად განილევა სამოსი მისი.

ტრაქტირის ირგვლივ ნეტარება სუფევს
ნამდვილი,
მწვანე ბალახში ჩაკარგულა იერი მსმელის.
ანწლის ნაყოფი, ღვინით თრობა, ფლეიტა
ნელი,
რეზედის სურნელს მიმოაბნევს ქალი ჩავლილი.

კაცობრიობა

ცეცხლოვან უფსკრულს შერჩენილი
კაცობრიობა,
ბნელ, მებრძოლ შუბლთა მიმოქცევა, ცემა
დაფდაფთა,
სისხლის პურუსში მწყობრად სვლა და რკინის
ზეობა,
სასოწარკვეთა და წყვდიადი მგლოვიარ თავთა:
წითელი ფული, ევას ჩრდილი და ნადირობა.
ღრუბელი, შუქით დარღვეული, ეს ზიარება.
პური და ღვინო აღსავსეა სათნო დუმილით
და აქ თორმეტი მოციქულის არის შეკრება.
ზეთისხილის ქვეშ, ისმის ძილში მათი ყვირილი;
თომას ხელი კი ჭრილობაში ჩაიძირება.

DE PROFUNDIS

ველი ნამკალი, აი, სად წვიმს შავბნელი წვიმა.
ხე მოჟამული, აი, რა დგას განმარტოებით.
ქარი ავსული, აი, რაა უკაცური ქოხმახების
ბატონ-პატრონი.
ჰოი, რარიგად მწუხარეა საღამო ესე.

ობოლიგოგო
სოფლის პირს ძუნწად შემორჩენილ თაველს
მშვიდად მიმოაგროვებს.
მწუხრის ბინდ-ბუნდში გავლებული მისი თვალები
ოქროვანი ბრწყინვალებით აღივსებიან,
ზეციურ საქმროს მოუთმენლად ელოდება მისი
წიაღი.

უკუქცევის ჟამს
ეკალ-ბარდში მწყემსებმა ნახეს
გახრწნილებამორევნილი ტკბილი სხეული.

მე ვარ აჩრდილი, უკუნ სოფლებს
მოშორებული.
ღმერთის სიჩუმეს მივირთმევდი
ჭალის წყაროდან.

ჩემს შუბლს შეეხო ცივი ლითონი.

ობობები ეძებენ ჩემს გულს.
აი, სინათლე, ჩემს ბავეზე რომელიც ქრება.

ღამით, ვერან და უკაცრიელ ალაგად შთენილს,
გარს მეჯარვოდა ნაგავი და მტვერი
ვარსკვლავთა.

კვლავაც გალობენ
თხილნარში ბროლის ანგელოზები.

300თხები

შემოდგომური მთვარე ეზოს თეთრად
ანათებს.

სახურავიდან ეცემიან უცხო ჩრდილები.
შეკედლებია მდუმარება ცარიელ სარკმლებს;
გამოძვრებიან სიბნელიდან ფრთხილად
ვირთხები

და მერე სტვენით დაქრიან და დაშლიგინებენ,
და ნაცრისფერი ანაორთქლით გაბრუებული
ყნოსვა და გეში უმალ ჩეჩიმას აგნებინებენ,
და აჩენს, როგორც მოჩვენებებს, მთვარის
ნათელი

გავეშებულებს სიხარბით და, როგორც
შეშლილებს,
დამიზნებულებს ერთმანეთზე, და შესევიან
სახლსაც, ბეღლებსაც, ხორბლით, ხილით
გადავსებულებს.
ცივი ქარები სიბნელეში ჩივილით ქრიან.

თაშუადღევს თაჩურჩულევი

შემოდგომის მზეს გამოლევია
ძალა; ხეებქვეშ ეცემა ხილი.
ლურჯ ოთახებში სახლობს დუმილი,
როცა ხანგრძლივი ნაშუადღევია.

ლითონის ზრინი, სიკვდილცხებული;
და წაემხობა თეთრი ნადირი.
მუქ გოგონათა სიმღერა მწირი,
ფოთოლცვენაში განქარებული.

შუბლს ესიზმრება უფლის ფერები;
გრძნობს, შეშლილობის ნაზი ფრთებია.
ბორცვთან ჩრდილები ეხეტებიან,
ლპობა-ხრწნით შავად მონაფერები.

დაისი, სავსე სიმშვიდით, ღვინით;
და - გიტარათა, მწუხართა, ხმები.
როგორც სიზმარში, დაუბრუნდები
ისევ ლბილ სანათს, ანთებულს შინით.

ფსალმუნი

მე-2 რედაქცია

ეძღვნება კარლ კრაუსს

აი, ნათელი, ქარმა რომ დანთქა.

აი, ტრიალი ველ-მინდორი, ნაშუადლევს რომ
დატოვა მთვრალმა.

აი, ვენახი, ხრიოკი და ობობებით სავსე
ხვრელებით გაშავებული.

აი, სივრცე, რძით რომელიც გადაათეთრეს.

განუტევა სული შეშლილმა. აი, სამხრეთის
ზღვის კუნძული,

მზის ღვთაებასთან შესახვედრად
გამზადებული. ისმის დოლის ხმა.

საპრძოლო ცეკვებს ასრულებენ მამაკაცები.

ხოლო ქალები ლიანებში და ყაყაჩოებში
განაგრძობენ თეძოთა რხევას,
როცა ზღვა იმღერს. ო, დაკარგულო ჩვენო
ედემო.

ნიმფებმა უკვე მიატოვეს ოქროს ტყეები.

სადღაც უცხოს ასაფლავებენ. მერე უუჟუნა
წვიმა იწყება.

მიწის მთხრელად პანის ვაჟი განუცხადდებათ,
შუადღისას რომ ადუღებულ ასფალტზე
სძინავს.

აი, ეზოში, ციცქნა კაბებით, გულისდამფლეთი
სილარიბით სავსე, ბავშვები!

აკორდებით და სონატებით განმსჭვალული
ოთახები.

აი, ჩრდილები, თვალისმომჭრელ სარკეებს
რომ შეერევიან.

ჰოსპიტლის სარკმლებს ათბებიან
მოკეთებული ავადმყოფები.

ჩვენთვის თეთრ გემს არხით მოაქვს
სისხლოვანი ეპიდემია.

ვიღაცის ბოროტ სიზმარეულში კვლავ
აღჩნდება უცხო დაიკო,
მის ვარსკვლავებს თხილნარში რომ
გულსაკლავად ეთამაშება.

სტუდენტი ვინმე, შესაძლოა ორეული,
სარკმლით მზირალი, მას თვალს ადევნებს.
ხოლო მის უკან გარდაცვლილი მისივ ძმა დგას,
ან დაეშვება ქვემოთ ძველი, ხვეული კიბით.
რუხი წაბლნარის სიბნელეში ნორჩი მორჩილის
სახე ფითრდება.
ბალი საღამოს დაენთქმება. ხოლო მონასტრის

გალერეაში ღამურები დაშრიალებენ.
თამაშს შეწყვეტენ მნის ბავშვები და ზეციურ
ოქროს ეძებენ.

ბოლო აკორდი კვარტეტისა. პატარა გოგო,
თვალდავსილი, ხეივანში ცახცახით გარბის,
მოგვიანებით, ცივ კედლებთან, საცნაურია
მისი აჩრდილი, ზღაპრებით და ნათლიერი
ლეგენდებით გარემოცული.

აი, ნავი ცარიელი, მიმწუხრზე რომ შავი არხის
დინებას მოაქვს.

ძველი საყუდრის ყიამეთში ბოლოვდება
ნანგრევები კაცობრიობის.
ბალის კედელთან გარდაცვლილი ობლები
წვანან.

სიბინძურით დალაქავებულფრთხებიანი
ანგელოზები გამოდიან მოჟამული
ოთახებიდან.

გადაყვითლებულ მათ ქუთუთოებს წვეთ-
წვეთად სდის მატლი და ჭია.
როგორიც ახსოვთ ბავშვობის დღეებს,
ეკლესიასთან მოედანი ისეთივე ქუფრი და
ყრუა.

იქვე ვერცხლისფერხამლიანი ოდინდელი
ცხოვრებანი ჩაიქროლებენ

და მგლოვიარე წყლისკენ დაძრულან
აჩრდილები შეჩვენებულთა.
თეთრი გრძნეული სამარეში თავის გველებს
ეთამაშება.

განიხვნებიან მდუმარედ ღმერთის ოქროს
თვალები საწამებელ ადგილთა ზედა.

პრიალოსნის საგალობლები

დისადმი

სადაც ჩაივლი, სთველი დგება და დრო
მიმწუხრის,
ლურჯი ნადირი, ხეებს შორის რომ ხმიანობს,
მარტოსული ტბორი მიმწუხრის.

ფრინველთა ფრენა წყნარად ხმიანობს,
შეხიდებია სევდას თვალთა შენთა კამარა.
შენი მკრთალი ღიმი ხმიანობს.

ქუთუთოები შენ უფალმა მოგიკამარა.
ლამით ალძრულან მნათობები, ბავშვო დიდი
პარასკევისა,
რათა იხილონ შენი მნათი შუბლის კამარა.

სიკვდილის სიახლოვე

მე-2 რედაქცია

ო, მწუხარი, ყრმობის უკუნ სოფლებს
დაშურებული.

ტირიფების ქვეშ
მწუხარების მოწამლული ამოოხვრით ივსება
ტბორი.

ო, ტყე, რომელიც წყნარად დახრის
თაფლისფერ თვალებს,
როცა ეულის დაჩონჩხილ ხელებს
აღტაცებულ დღეთა ძონი ჩამოსცვივდება.

ო, სიახლოვე სიკვდილისა. ვილოცოთ. როცა
ღამე მოაწევს, გრილ ბალიშზე
საკმევლისგან გაყვითლებულ შეყვარებულთა
გალეული კიდურები მოეშვებიან.

ამინ

მკვდარ თითებს შორის იღვრებიან
ნაცრისფერი მარგალიტები.
სიჩუმეში
ლურჯი ყაყაჩოს თვალებს განხვნიან
ანგელოზები.

ლურჯია მწუხარიც;
უამი ჩვენი გადაგებისა, კვალად - აჩრდილი
აზრაელის,
რუხი ბალის დამპნელებელი.

მწუხარის სიმღერა

საღამოჟამი რომ დგება და დაბურული
ბილიკებით დავემართებით,
ჩვენს წინ ჩვენივე გაფითრებული სახეები
წარმოსდგებიან.

როცა გვწყურია,
ჩვენი მწუხარე ყრმობის სიტკბოს -
ტბორის თეთრ წყლებს - დავენაფებით.

დავდუმებულვართ, გარდაცვლილნი, ანწლის
ბუჩქებში,
ნაცრისფერი თოლიების ჭვრეტად
ვქცეულვართ.

მოგროვდებიან ქუფრი ქალაქის თავს
ღრუბლები გაზაფხულისა,
ხოლო ქალაქი დუმს, ვით განთქმულ დროთა
მოწესე.

თვალები დინჯად აღახილე,
ავადმყოფურ შენს ხელს ხელი როცა შევახე,
ეგე უამი გადავიდა დიდი ხანია.

მაგრამ როს ბნელი ხმაკეთილი სულს
ესტუმრება,
მეგობრის ლანდშაფტს, შემოდგომურს,
კვლავაც თეთრად გამოუჩინდები.

ლამის სიმღერა

უძრავის სუნთქვა. ნადირის სახეს
გააშემებს სილურჯე, ლურჯი ფერის სიწმინდე.
ძლიერებით აღსავსეა დუმილი ქვაში;

ლამეული ფრთოსნის ნიღაბი. სამი ლბილი ხმა
აუღერდა ერთ ხმად. ელა! შენი იერია,
მდუმარედ რომ დაიხრება ლურჯი წყლის
თავზე.

፩፻፲፭

სულის ეული დრო რომ დგება,
მშვენიერია მზეზე გასვლა
და ზაფხულის ყვითელ კედელთა გაყოლებით
გასეირნება.
სათუთად ისმის ბალახებში ნაბიჯების ხმა;
მაგრამ პანის ვაჟს
სამარადისო ძილით სძინავს ლეგა ფერის
მარმარილოში.

მწუხარის ტერასზე თაფლისფერი ღვინით
ვთვრებოდით.
ფოთლეულში მოწითალოდ ღვივის ატამი;
ნელი სონატა, სიცილი ლალი.

მშვენიერია დამის სიჩუმე.
ხოლო ბნელ ველზე
დათქმული გვაქვს პაემანი მწყემსებთან და
თეთრ ვარსკვლავებთან.

როცა მოაწევს შემოდგომა,
კორომი ჩვენს წინ მთელი თავისი სინათლით და
ბრნყინვალებით აიმართება.
წითელ კედელთა გაყოლებით მშვიდად
ვსეირნობთ

და მეოცნებედ თვალს ვადევნებთ ფრინველთა
ფრენას.
მიმწუხრზე თეთრი წყლით ივსება ფერფლის
ურნები.

შიშველ ტოტნარში ზეიმობს ზეცა.
წმინდა ხელებით მოაქვს გლეხკაცს პური და
ღვინო
და ნება-ნება მწიფს ნაყოფი მზით ავსებულ
საკუჭნაოში.

ო, რა მკაცრია ძვირფას მკვდართა სახე-იერი!
მაგრამ მართალი მზერის ძალა სულს
გაახარებს.

უძლეველია მდუმარება განძრცვილი ბალის,
სადაც ნორჩ მორჩილს შუბლი მოურთავს
ყავისფერი ფოთლის გვირგვინით,
მისი სუნთქვა ყინულოვან ოქროს არის
დაწაფებული.

ხელები კი მტრედისფერი წყლის სიძველეს
შეეხებიან
ან - ცივ ღამეში დების თეთრ ლოყებს.

ჰარმონია და სისათუთე აღავსებს ნაბიჯს იმ
მეგობრულ ოთახებთან სეირნობისას,
სადაც ნეკერჩხლის შრიალი და სიმარტოვეა
და, შესაძლოა, ჯერაც ისმის შაშვის გალობა.

მშვენიერი და დიადია სიბნელეში ადამიანი,
გაკვირვებული რომ მიდის და შეერჩევა ნაკვთი
ყოველი,
ხოლო ალისფერ მღვიმეებში უხმაუროდ
მოძრაობენ მისი თვალები.

მწუხრის ლოცვის ჟამს ვიღაც ნოემბრის შავ
ნგრევაში დაეტანება,
ჩაიკარგება კეთრით სნეულ კედლებსა და ძველ
ტოტებს შორის,
სადაც მოწესეს გაუვლია,
დანთქმულს თავისი შეშლილობის სიმთა მიერ
გამოცემულ მსუბუქ ჰანგებში,

ჰოი, რარიგად ეულია აღსასრული მწუხრის
ქარისა.
მომაკვდავი თავს ჩაჰავიდებს ზეთისხილის
ხეთა წყვდიადში.

შემზარავია გადაგება ადამის მოდგმის.

მაშინ აღავსებს თვალხილულის ნათლიერ
მზერას
ოქრო მისივ ვარსკვლავებისა.

ზარის მიმქრალი ხმოვანება საღამო ჟამს
შეერევა და
ჩაიქცევიან მოედანზე შავი კედლები,
გარდაცვლილი ჯარისკაცი მოითხოვს ლოცვას.

ვაჟიშვილი გაფითრებულ ანგელოზად
შეაბიჯებს
მამა-პაპის ცარიელ სახლში.

ჯერ კიდევ როდის შორს, თეთრთმიან
მოხუცებთან წავიდნენ დები.
ლამით მძინარემ ისინი ნახა კოლონებს შორის,
სახლის კარსელში:
მწუხარებით მომლოცველნი დაბრუნებულან.

ო, დების მყრალ და სიბინძურით შესქელებულ,
მატლიან თმაში
დაძირულან ვერცხლოვანი მისი ფეხები;
გარდაცვლილნი გამოდიან ცარიელი
სენაკებიდან.

ო, შუალამის ცეცხლოვანი წვიმების ჟამს
თქმულნო ფსალმუნნო,
მოახლეები სათნო თვალებს ჭინჭრით როცა
უსწორდებოდნენ,
ანწლის ბავშვური ნაყოფები
ცარიელი სამარისკენ განცვიფრებით
დადრეკენ თავებს.

ნაზად გორავენ გაყვითლებული მთვარეები
ყრმის მდუღარე თეთრეულის თავს,
ვიდრე ბავშვს ზამთრის მდუმარება თან
წაიყვანდეს.

ამაღლებული ბედი ქედრონს ქვე მიუძღვება,
იქ, სად კედარი, უწყინარი ქმნილება, ხარობს
მამის ლურჯ წარბქვეშ.
ლამეუამს ფარას საძოვრისკენ მიდევნის
მწყემსი.

ან ეს ხმებია ძილში ყვირილის,
ადამიანს რომ ტყეში რკინის ანგელოზი
უახლოვდება,
ხოლო სხეული წმინდანისა გახურებულ
ცხაურზე დნება.

თიხის ქოხმახთა გარეშემო ალისფერი ღვინო
ისხმება,

გაყვითლებული ჭვავის ძნები იმღერენ და
ზუზუნებენ ფუტკრები და მიფრინავს წერო.
შემწუხრების ჟამს კლდის ვიწრობებზე
ხვდებიან ერთურთს მკვდრეთით აღმდგარი
გარდაცვლილები.

შავ წყლებში სჭვრეტენ კეთროვანნი თავიანთ
სახეს;
ან ვარდისფერი გორაკიდან მონაბერ, მხსნელ
ქარს
ატირებულნი აგებებენ გასვრილ
ტანსაცმელშემოცლილ სხეულს.

გაფაციცებით მოივლიან ღამის შუკებს
ტანწერწეტა მოახლეები,
იქნებ მოხდეს და მოიხილონ ძვირფასი მწყემსი.
შაბათდღეობით ქოხებიდან არე-მიდამოს
ჰაეროვანი სიმღერები მოეფინება.

ყრმასაც სიმღერით მოიგონებდეთ,
სიგიჟეს მისას, თეთრ წარბს მისას,
გარდასვლას მისას,
ხრწნამორევნილი მტრედისფრად რომ
აღახელს თვალებს.
ჰოი, რარიგად მწუხარეა ეს პაემანი.

შავ ოთახებში - კვლავ სიგიურის საფეხურები,
ძველგარდასულთა აჩრდილები - გაღებულ
კარში,
სადაც ვარდისფერ სარკეში სჭვრეტს თავის
თავს სული ჰელიანის და
თოვლი და კეთრი ედინება მისი შუბლიდან.

კედლებზე ჩაქრნენ ვარსკვლავები
და სინათლის თეთრი ხატები.

საფლავის ძვლები ამოარღვევენ საფარველს
და
ბორცვზე დუმან ჩაშლილი ჯვრები.
საკმევლის სურნელს მიმოაბნევს ალისფერი
ქარი ღამისა.

ჰოი, თვალებო, დამსხვრეულებო და შავ
ხახებში დაძირულებო!
შვილიშვილის გონებას რომ მკრთალი ბინდი
გარემოიცავს,
ის, მარტოსული, უბნელესი აღსასრულის
შესახებ ფიქრობს;
მის თავს ზემოთ, წყნარი ღმერთი ქვე
დაზიდავს ლურჯ ქუთუთოებს.

პავლეონა

ანწლი, ნაყოფით დახუნძლული; ხოლო
ბავშვობა
ლურჯ მღვიმეში ყუჩად მკვიდრობდა. სადაც
ბილიკი განილევა
და მოჟამული ველის ბალახის შარიშური
მიმოიბნევა,
ფიქრს მოუცავს მშვიდი ტოტები; შრიალი
ფოთლის,

კლდიანებში რომ ლურჯი წყალი ხმას
გამოსცემს, სწორედ იმგვარი.
სუბუქია შაშვის გალობა. უხმოდ ჰმზერს
მწყემსი
მზეს, შემოდგომის გორაკიდან ამოგორებულს.

მხოლოდ სულია ლურჯი წამი, სხვა არაფერი.
ტყისპირს აღჩნდება მფრთხალი მხეცი,
მშვიდობის ნიშნად
დადუმდებიან ძველისძველი ზარები და ბნელი
სოფლები.

მოკრძალებით საცნაურჲყოფ ბნელი წლების
აზრს,

ხოლო მარტოსულ ოთახებში - კვლავ სიგრილე
და შემოდგომა.
ყრუდ ისმის წმინდა სილურჯეში მანათობელი
ნაბიჯების ხმა.

გაღებული სარკმლის წკარუნი,
ძლივსგასაგონი; ბორცვზე ჩაშლილი
სასაფლაო ცრემლებამდე შეძრავს
დამნახველს;
ერთ დროს მოსმენილ ლეგენდათა კვლავ
გახსენება; გაცისკროვნდება მაინც სული,
ჟამიდან ჟამზე,
ოდეს მხიარულ ადამიანებს და ზაფხულის
ბნელოქროვან დღეებს აღიდგენს.

შავენი

ერთულთის მიმართ ბნელი მზერა
შეყვარებულთა,
ქერათა და მანათობელთა. დანატრებული მათი
მკლავები,
გამყინავი წყვდიადის წიაღ, უსუსურად
ერთვიან ერთულთს.

ალისფერ მსხვრევას დაეტანა კურთხეულთ
ბაგე. აირეკლავენ
მრგვალი თვალები გაზაფხულის ნაშუადლევის
დაბინდულ ოქროს,
ნაპირებს და სიშავეს ტყისა; მწვანითმოსილ
ძრწოლებს მწუხრისა;
იქნებ ფრთოსანთა გამოუთქმელ ფრენას და -
ბილიკს
არშობილისა, უკუნ სოფელთა და მარტოსულ
ზაფხულთა პირას,
და გალეული სილურჯიდან, უამიდან უამზე,
გარდაცვლილი გამოაბიჯებს.

წყნარად შრიალებს პურის ყანა,
გაყვითლებული.
მკაცრია კაცის ცხოვრება და სოფლად

გლეხეაცის ფოლადის ცელს მოცლა არა აქვს,
დიდრონ დირეებს იმორჩილებს ხურო
ბეჯითად.

ალისფერს იკრებს ფოთლეული შემოდგომაზე.
მოწესის სული
მშვიდად განვლის მზენათელ დღეებს;
მწიფობს ყურძენი
და საზეიმო არის ჰაერი ფართოდ გაშლილ კარ-
მიდამოთა.
ტკბილსურნელებენ დაყვითლული ნაყოფები;
მხიარულების
წყნარი სიცილი ჩაბნელებულ სარდაფებში,
მუსიკა, ცეკვა;
გარდაცვლილი პატარა ბიჭის ნაბიჯი და
გარინდება დაბინდულ ბალში.

გზად

მათ მიმწუხრის ჟამს საცხედრეში მიიტანეს
უცნობი მკვდარი;
კუპრის სუნი; წითელ ჭადართა ნელი შრიალი;
ჭკის ბნელი ფრენა; საგუშაგო ჩაიბარეს
ჯარისკაცებმა.
მზე მიეფარა შავ თეთრეულს; შემოიქცევა
გარდასული ეს საღამო ისევ და ისევ.
გვერდით ოთახში და შუბერტის სონატას
უკრავს.
ლიმილი მისი უწყნარესად იძირება ჩაქცეულ
ჭაში,
რომელიც მიმწუხრს ეგებება ლურჯი ხმაურით.
მოდგმა ჩვენი რარიგ ძველია!
ბალში ჩურჩული განიბნევა; გამოეთხოვა ამ
ყომრალ ცას უკვე მავანი.
ხოლო კომოდზე სურნელებენ მწიფე ვაშლები.
ბებია ოქროს კელაპტრებს ანთებს.

ო, რა ლბილია შემოდგომა! ხანმოყრილ პარკში,
მაღალ ხეებქვეშ,
ნაზია ჩვენთა ნაბიჯთა ხმა. მკაცრია ფრიად
სუმბულისდარი პირისახე საღამოისა.
ლურჯია წყარო შენს ფეხებთან; იდუმალებით

აღსავსეა ალისფერი მდუმარება შენთა
ბაგეთა,
მთვლემარე ფოთლებს რომ დაჩრდილავს,
ჩამოშლილი მზესუმზირების დაბინდულ
ოქროს.
დაგმძიმებია ყაყაჩოსგან ქუთუთოები, ჩემს
შუბლს მიკრულნი მისცემიან სათუთ
ოცნებას.
მოაწევს ზართა სათნო ხმა და მკერდი
თრთოლვით განიმსჭვალება. უამს
მიმწუხრისას
ჩემში ლურჯ ღრუბლად ჩამოეშვა შენი ხატება.

დამღერებული გიტარაზე, შორეული
დუქნიდან რომ მომეყურება;
ველური ანნლის ბუჩქები და დღე ნოემბრის,
დიდი ხნის წინ გადაგებული,
სანდო ნაბიჯთა ხმოვანება მწუხრის კიბეზე;
იერი გარუხებულ დირეთა,
ღია სარკმელი, რომელსაც ტკბილი იმედი
შერჩა -
ო, ღმერთო ჩემო, ეს ყოველი არის ისე
გამოუთქმელი, რომ გაოგნებულ ადამიანს
მუხლს აყრევინებს.

რარიგ ბნელია, ო, ეს ღამე! ჩემს პაგეებზე
ჩამოქრება ალი ბრდლვიალა. სიკვდილით
დუმილს დაენთქმება
შიშნეულ სულის ჰანგი ეული.
ბინძურ გუბეში ჩაეკიდოს, დაე, თავი ღვინით
ძლეული!

სანახი

მე-2 რედაქცია

სექტემბრის მწუხრი; მგლოვიარედ აუღერდება
მწყემსთა ბნელი მოძახილი
დაბინდულ სოფლად; ნაპერნკალი ხლტის
სამჭედლოში.

ყალყზე დგება დაძაგრული შავი ქურანი;
სუმბულისდარი კულულები მოახლე ქალის
მისი ბრდლვიალა ნესტოების მხურვალებას
მინებებია.

ტყისპირს სიჩუმე ნება-ნება ენაცვლება
ფურირმის ყვირილს.

ხოლო ყვითელი ყვავილები შემოდგომისა
უტყვად მიდრეკენ თავებს ტბორის ლურჯი
მზერისკენ.
ხე ჩაინაცრა მენამულ ცეცხლში; ბნელსახიანი
ღამურები იწყებენ შრიალს.

ყრმა ელისისადგი

ელის, შავ ტყეში შავი შაშვი თუ ამეტყველდა,
ნიშანია შენი სიკვდილის.

ეწაფებიან ბაგენი შენნი კლდით მომდინარი
ლურჯი წყაროს გრილოვანებას.

სისხლად სდიოდეს, დაე, შენს შუბლს
ლეგენდები ძველთუძველესი
და უბნელესი განმარტება ფრინველთა
ფრენის.

ხოლო შენ ფრთხილი ნაბიჯებით შეხვალ
ლამეში,
დახუნძლულია ღამე იგი ალისფერი ყურძნის
მტევნებით,
მშვენიერია მკლავთა შენთა მიმორხევა ამ
სილურჯეში.

ჰანგს მიმოიღვრის ეკალ-ბარდი,
სად მთვაროვანნი თვალნი შენნი
დაბუდებულან.
ო, რა ხანია, ცოცხალთ შორის აღარ ხარ, ელის.

შენი სხეული სუმბულია,

რომელშიც ბერის ცვილის თითები
დაინთქმებიან.

შავი მღვიმეა სიჩუმე ჩვენი,

საიდანაც, უამიდან-უამ, თვინიერი გამოდის
მხეცი
და დამძიმებულ ქუთუთოებს ქვე დახრის
დინჯად,
მიმოებნევა შენს საფეთქელს შავი ცვარ-ნამი,

უკანასკნელი ოქრო უკვე ჩაშლილ
ვარსკვლავთა.

ელისი

მე-3 რედაქცია

1

სრულყოფილია მდუმარება ოქროვანი დღის.
ძველ მუხიანში
აღჩნდები, ელის, უმშვიდესი, მრგვალი
თვალებით.

მათი სილურჯე აირეკლავს თვლემარებას
შეყვარებულთა.
შენს ბაგეებთან
ვარდისფერი მათი ოხვრა აღესრულება.

საღამოჟამზე მძიმე ბადეებს ეზიდებოდა
წყლიდან მეთევზე.
კეთილი მწყემსი
ტყისპირისკენ მიდევნის ფარას.
მართალ არიან, ჰოი, რარიგ, ელის, შენნი
ყოველნი დღენი!

მშვიდად ეშვება
გაშიშვლებულ გალავანთან ზეთისხილის
ლურჯი სიჩუმე.

შორს ბერიკაცის ყრუ სიმღერა მიინავლება.

ნავი ოქროსი
მიმოარწევს, ელის, შენს გულს ეულ ზეცაში.

2

ნაზად წერიალებს ზანზალაკი ელისის
მკერდში,
მწუხრის ჟამს,
როცა თავი მისი შავ ბალიშში ჩაიძირება.

ასკილის ბუჩქებს შეხიზნული
ლურჯი მხეცი სისხლისგან მშვიდად
განიტვირთება.

განაპირებით დგას რუხი ხე
და ლურჯ ნაყოფს მიმოიფანტავს.

ნიშნები და ვარსკვლავები
მწუხრის ტბორში უხმაუროდ დაინთქმებიან.

დაზამთრებულა გორაკთა მიღმა.

ლურჯი მტრედები

უკუნ ღამეში სვამენ ელისის ბროლის
შუბლიდან
მომდინარე ყინულოვან ოფლს.

საცნაურია დღენიადაგ
შავ კედლებთან ღვთის ეული ქარის წრიალი.

ჰოპენურგი

მე-2 რედაქცია

სახლში არაა სულიერი. ოთახებში - შემოდგომა;
მთვარითნათელი სონატა და
გამოღვიძება დაბინდულ ტყის პირს.

ადამიანის თეთრი სახე მოეძალვის შენს ფიქრს
ნიადაგ,
დროის და უამის აურზაურს მოშორებული;
მეოცნების თავს ნეტარებით დაზიდულან
მწვანე ტოტები,

ჯვარი და მწუხრი;
უღერადს ალისფერ მკლავებს მოხვევს და
გულში იკრავს მისივ ვარსკვლავი,
უპატრონო სარკმლებთან რომ დაკიდებულა.

ხოლო თრთის ბნელში უცხო ვინმე,
მერე განხვნის ქუთუთოებს და გადმოსცერის
ადამიანურს,
რომელიც ერთობ შორეულია; წინკარში ქარის
ხმა ვერცხლოვანი.

სეპასტიანე სიზმრად

ადოლფ ლოოსს

1

დედას, ყრმით ხელში, თეთრი მთვარე გზას
უნათებდა,
კაკლის ხისა და ხანიერი ანწლის ჩრდილში
გაბრუება ყაყაჩოს სითხით, შაშვის ჩივილი;
და, ნება-ნება,
მისი თავისკენ თანაგრძნობით იხრებოდა
წვერიანი და მშვიდი სახე,

სარკმლის წყვდიადში; წინაპრებისგან
ნაანდერძევი
საოჯახო ყველა ნივთი
ნამსხვრევებად იყო ქცეული; სიყვარული;
ოცნებები შემოდგომური.

წელიწადის ასერიგად უბნელესი დღე, მწუხარე
ყრმობა,
ბავშვი რომ გრილი წყლებისკენ და
ვერცხლოვანი თევზებისკენ ეშურებოდა,
სიმშვიდე, მზერა;

როცა ქვასავით ჩაუვარდა ფეხებში შეშლილ
ყორანა ცხენებს,
რუხ ღამეში ჩამოეშვა მის თავთან მისივ ბედის
ვარსკვლავი;

ან როცა, დედის გაყინულ ხელს ჩაჭიდებული,
ის წმინდა პეტრეს შემოდგომური
სასაფლაოსკენ მიმავალ გზას შეუყვებოდა,
საკუჭნაოს სიბნელეში მყიფე გვამი მშვიდად
ესვენა
და ქუთუთოებს გახსნიდა და მზერას მისკენ
გამოიწვდიდა.

ის კი პანია ჩიტი იყო, შიშველ ტოტზე
დასკუპებული,
ნოემბრის მწუხრის ხანგრძლივი ზარი,
მამის სიმშვიდე, როცა ის, ძილში, დაეშვებოდა
განათებული კიბეხვეულით.

სულის მშვიდობა. მარტოსული საღამო
ზამთრის,
მწყემსების ბნელი სახეები ძველისძველ
ტბორთან;

ყრმა - ჩალის ქოხში; ო, რა წყნარად
იძირებოდა მისი მზერა შავ ციებაში.
ღამის სიწმინდე.

ან როცა იგი, მამის ძლიერ მკლავს მინდობილი,
დადუმებული ადიოდა ქუფრ გოლგოთაზე
და შებენელებულ კლდის ნიშებში
მისივ მითიდან გადმოსული ადამიანის ლურჯი
სახე ეცხადებოდა.
ხოლო გულის ქვეშ, ჭრილობიდან მენამული
სისხლი დიოდა.
ო, რა სათუთად ამოიმართა ბნელით მოცულ მის
სულში ჯვარი.

სიყვარული; ხოლო მაშინ შავ ალაგზე თოვლი
დნებოდა,
ძველ ანწლში ლალად გროვდებოდა ლურჯი
ნიავი,
თაღში, შეკრულში კაკლის ხის ჩრდილით;
და ყრმას თავისი ვარდისფერი ანგელოზი
წყნარად ეჩვენა.

სიხარული; მწუხარის სონატა ან კრიალდა გრილ
ოთახებში,
რუს განივძელზე

ვერცხლისფერი თოჯინიდან გამოცოცდა
ლურჯი ფარვანა.

ჰოი, სიკვდილის სიახლოვე. ქვის გალავნისკენ
იხრებოდა ყვითელი თავი, მდუმარე ბავშვი,
რაკილა მაშინ, მარტის თვეში, მთვარე ჩაიქცა.

3

ხოლო ღამის აკლდამაში ვარდისფერი,
სააღდგომო ზარების რეკვა
და ვარსკვლავთა ვერცხლოვანი ხმა:
რომ მძინარის შუბლს ბნელი სიგიჟე ცახცახით
მოსწყდა.

ო, რარიგად უხმაუროა დავიწყებულზე
მოფიქრალის დაშურება
ქვემოთ, ლურჯი ნაკადულისკენ, სადაც,
მწუხრის უამს, მწვანე ტოტებში,
შავი შაშვი უცხოს უხმობდა.

ან როს მოხუცის დაჩონჩხილ ხელს მინებებული
ქალაქის ჩაშლილ გალავანთან მიაბიჯებდა
და შავით მოსილ მოხუცს ხელში ვარდისფერი
ჩვილი ჰყავდა ატატებული,

კაკლის ხის ჩრდილში სული აღჩნდა
ბოროტეულის.

ნაბიჯები ზაფხულის მწვანე საფეხურებს
შეეხებიან. ო, რა წყნარად
ჩაიქცა ბალი შემოდგომის რუს სიჩუმეში,
ძველი ანწლის სურნელება და მწუხარება,
სებასტიანეს ჩრდილში როცა ანგელოზის
ვერცხლოვანი ხმა დასამარდა.

შაოგთან

მე-3 რედაქცია

მგზავრი შავ ქარში; ფრთხილად განფანტავს
ხმელი ლელქაშის შარიშური
ჭაობის დუმილს. ველურ ფრინველთა
გუნდს გამოაჩენს მოუამული ცა;
განივი ლტოლვა ქუფრი წყლების თავს.

ფორიაქი. ჩაშლილ ქოხში
ლპობა შავ ფრთებს ააშრიალებს;
ქარში ოხრავენ სახიჩარი არყის ხეები.

მიტოვებულ ფუნდუკში - მწუხრი. შინმისაქცევ
გზას უთვალთვალებს
მობალახე ფარას შეყრილი მსუბუქი სევდა;
ლამის ხატება: უამიდან უამზე ამოყვინთავენ
გომბეშოები ვერცხლის წყლებიდან.

გაზაფხულზე

უჩუმრად ჩაწვა თოვლი ბნელი ნაბიჯების ქვეშ,
ხის ჩრდილში
ფრთხილად იხსნებიან შეყვარებულთა
ვარდისფერი ქუთუთოები.

მენავეების ბნელ დაძახილს
ვარსკვლავი და ღამე მოსდევს ისევ და ისევ;
წყნარია და რიტმულია ნიჩბების ცემა.

აყვავდებიან ჩამოქცეულ გალავანთან მალე
იები,
და ასე მშვიდად იფარება მარტოსულის
საფეთქელი მწვანე ბალახით.

საღამო ლანგი

მე-2 რედაქცია

მშვენიერია: ო, სევდა და წითლად სიცილი.
მწუხარი და მწვანის ბნელი სურნელი
მოკახცახედ გვიგრილებენ გახურებულ შუბლს.

ჩასდევნებიან ვერცხლის წყლები ტყის
საფეხურებს,
ღამეჟამი და დავიწყებული სიცოცხლე, უტყვი.
მეგობარი; ფოთლით ფენილი ბილიკები,
სოფლისკენ რომ დაშურებულან.

პერთამთაზე

მე-2 რედაქცია

შემოდგომის თელების ჩრდილში, ჩაქცეული
ბილიკი რომ ქვედამართულა,
საცნაურია ფოთლოვანით შეკრულ სადგომთა
და მძინარე მწყემსთა სიშორე,
ნიადაგ თან სდევს მგზავრს სიგრილის ბნელი
ხატება.

დაჩონჩხილი ხიდურის თავს - ყრმა სუმბულის
ხმით,
ტყის დავიწყებულ ლეგენდათა ნელი-ნელ
მთქმელი,
ხაფი ჩივილი ძმის, სნებისგან ძალამიხდილის.

ააშრიალებს მეტყველ მწვანეს მუხლი
უცნობის,
ქვოვანი თავი;
ქალების ჩივილს ლურჯი წყარო ხმაურით
გათქვამს.

კასპარ ჰაუზერის სიმღერა

ბესი ლოოსს

ჭეშმარიტად შეჰყვარებოდა მზე, - გორაკისკენ
მობრდლვიალედ დასწრაფებული,
ტყის ბილიკები, მგალობელი შავი ჩიტები
და სიმწვანის მხიარულება.

ხის ჩრდილში მისი ბინადყოფნა სავსე იყო
მნიშვნელოვნებით,
სახე - სიწმინდით.
ცეცხლს ალუნთებდა ღმერთი გულში:
ო, ძე კაცისა!

მისმა ნაბიჯმა წყნარი ჰპოვა მწუხრზე ქალაქი;
ბაგეს მომწყდარი ბნელი მოთქმა:
ამას ვნატრობ, გავხდე მხედარი.

მაგრამ თან სდევდა ბუჩქი და მხეცი,
თეთრ კაცთაგანთა დაბინდული ბალი და სახლი,
და ეძიებდა მას მკვლელი მისი.

გაზაფხული და ზაფხული და მშვენიერი
შემოდგომა

მართლის, მისი წყნარი ნაბიჯი
ბნელ ოთახებთან, კვლავ და კვლავ რომ ოცნება
სძლევდა.
მარტო რჩებოდა იგი ღამით თავის
ვარსკვლავთან;

იხილა, თოვლი აცვიოდა შიშველ ტოტნარს და
ბინდით მოცული სახლის წინკარს და
მკვლელის აჩრდილს.

ქვე იხრებოდა არშობილის თავი
ვერცხლისფრად.

ଭାବୀ

სილურჯე ჩემი თვალებისა ამ ღამეში
ამოინურა,
ჩემი გულის წითელი ოქრო. ო! ნათლიერი რა
სიმშვიდით იფერფლებოდა.
გახვეულიყო, წასაქცევად განწირული, შენს
ლურჯ სამოსში;
ალიბეჭდავდა ალისფერი შენი ბაგე მეგობრის
შეშლას.

სონია

კვლავ უბრუნდება ძველ ბალებს მწუხრი;
სონიას ყოფა, ლურჯი სიჩუმე.
ველურ ფრინველებს შორი გზა უხმობს;
სთველი, შიშველი ხე და სიჩუმე.

და მზესუმზირას, შავთვალგახელილს,
ათბობს სონიას თეთრი ცხოვრება.
ჭრილობას, წითელს და არგამხელილს,
ბნელ ოთახებში ნებავს ცხოვრება,

რომლებშიც ჟღერენ ლურჯი ზარები;
სონიას სუნთქვა, სათნო სიჩუმე.
დაჭრილი მხეცი, შორით მარები,
სთველი, შიშველი ხე და სიჩუმე.

გარდასულ დღეთა მზით დანაფერი
არის სონიას თეთრი წარბები,
ღანვები - სველი, თოვლდანაფენი,
და - გაუვალი მისი წარბები.

სიმამართება

შიშველ ტყეში მწყემსები მზეს
ასაფლავებდნენ.
ეზიდებოდა დაძენძილი ბადით მეთევზე
გაყინული ტბორიდან მთვარეს.

ლურჯ ბროლში
სახლობს ფერმიხდილი ადამიანი, ლოყით თავის
ვარსკვლავს მიკვრია;
ანდა თავს სულაც ალისფერი ძილისკენ დახრის.

თუმცა, ფრინველთა შავი ფრენა კვლავ
აათრთოლებს
მზირალს, და - ლურჯი ყვავილის ნათელს,
ფიქრს მისცემია ახლომყოფი მდუმარება
დავიწყებულის, ანგელოზი ჩამოშრეტილი.

კვლავ დაიღამებს მთვარენათელ ქვიანში
შუბლი;
დაიკო კი მანათობელ ყრმად
წარმოჩნდება, შემოდგომით და კუპრისფერი
ლპობით მოცული.

ანიჭი

გახსენება: თოლიების ძახილს მოუცავს
კაცთა სევდის ბნელი ცის თაღი.
შემოდგომის იფნის ჩრდილში უჩუმრად
მკვიდრობ,
გორაკის მართალ წესრიგს შერთული;

კვლავ დაეშვები მწვანე წყლისკენ,
მწუხრი რომ დგება,
სიყვარული აულერებული; მშვიდობით გხვდება
ბნელი მხეცი,

ვარდისფერი ადამიანი. ლაუვარდოვანი
ამინდით მთვრალი,
მომაკვდავ მწვანეს ატოკებს შუბლი
და დედის მართალ მზერას აღიდგენს;
ო, რარიგ ერთვის ბნელს ყველაფერი;

მამათა
მკაცრი ოთახები, ძველი ავეჯი,
გადამთიელს მკერდს დაუმძიმებს.
ო, ნიშნებო და ვარსკვლავებო.

დიდია ბრალი დაბადებულის. ვაი, სიკვდილის

ოქროს თავსხმებო,
სულს უგრილესი ყვავილობა რომ ესიზმრება.

მთვარის ნაბიჯთა მოთვალთვალე, შიშველ
ტოტნარში,
უფრო და უფრო ხმას იმაღლებს ღამის
ფრინველი.
ყინულოვანი ქარი იმღერს სოფლის
კედლებთან.

დაბადება

მთები: სიშავე, დუმილი, თოვლი.

ნადირობა ტყიდან წითლად მოედინება;
ო, ხავსისფერი თვალები მხეცის.

დედის სიმშვიდე; შავ ნაძვნარში
განიხვნებიან მძინარე მკლავნი,
მილეული ცივი მთვარე როცა დაჩნდება.

ო, დაბადება კაცთაგანის. კლდის ძირს ლურჯი
წყლის
ღამეული ისმის ჩურჩული;
დაცემული ანგელოზი მის ხატს მზერას
ოხვრით მიაპყრობს,

ყრუ ოთახში სიფერმკრთალე გამოიღვიძებს.
ორ მთვარედ
ბრნყინავს ქვადქცეული დედაბრის მზერა.

ვაი, ყვირილი ახალშობილის. ჩვილის
საფეთქელს
შავი ფრთებით ეხება ღამე,
თოვლი, რომელიც ალისფერი ღრუბლებიდან
ჩუმად ეშვება.

აღსასრული

მე-5 რედაქცია

კარლ ბორომოის ჰაინრიხს

თეთრ ტბორს
ველურმა ფრინველებმა გადაუფრინეს.
მიმწუხრზე ჩვენი ვარსკვლავები ყინულოვან
ქარს გვიგზავნიან.

გადმოიხება ჩვენს საფლავებზე
დამსხვრეული შუბლი ღამისა.
ვერცხლის ნავი მუხიანში მსუბუქად გვარწევს.

ისევ და ისევ უღერენ ქალაქის თეთრი კედლები.
ეკლიანი გუმბათის ქვეშ,
ო, ჩემო ძმაო, გზას მივიკვალავთ ჩვენ, საათის
ბრმა ისრები, შუალამისკენ.

სიყრმის ზამს გარდაცვლისაღმი

ო, კუპრისფერმა ანგელოზმა ხის გულიდან რა
სიმშვიდით გამოაბიჯა,

უწყინარი ბავშვები რომ ვერთობოდით
მწუხრის ჟამს, ლურჯად მოჭავლულ ჭასთან.
უხმაურო ნაბიჯები, მრგვალი თვალები

შემოდგომის რუს სიგრილეში,
ო, ალისფერი სიტკბოება მწიფე ვარსკვლავთა.

იგი კი, ლურჯად მოლიმარი, უკიდეგანო
მდუმარებით

სავსე ბავშვობის იდუმალ ჭუპრს

გამომწყვდეული,

იგი ბერთამთის ქვის საფეხურებს ჩაუყვა და
გარდაიცვალა;

ხოლო მეგობრის ვერცხლოვანი სახე-იერი
დავიწყებას არ მისცა ბალმა,

ძველ ქვებში და ფოთლეულში მოყურიადე.

სიკვდილს და ხორცის მწვანედ გახრწნას
იმდერდა სული,

და ტყის ფორიაქს დაერთვოდა

გულმოდგინე ჩივილი მხეცთა.

დაბინდული კოშკებიდან უწყვეტ ნაკადად
უდერდნენ მწუხრის ლურჯი ზარები.

უამმა ჩამოკრა და აჩრდილები აღუჩინა
ცეცხლოვანმა მზემ,
ხრწნის აჩრდილები შიშველ ტოტებში;
მწუხრი. გალავნის ბინდ-ბუნდიდან მოაწია
შაშვის გალობამ,
სული სიყრმის უამს გარდაცვლილის შემოვიდა
ჩუმად ოთახში.
ო, სისხლი იგი, ყელს, სასიმღეროდ
შემართულს, რომ განერინება,
ლურჯი ყვავილი; ო, ლამის წიალს შერევნილი
მდუღარე ცრემლი.

ოქროვანი ღრუბლები. უამი. ხშირად მოუხმობ
განსვენებულს
შენს მარტოსულ ოთახში სტუმრად
და, მასთან თბილად მოუბარი, დაუყვები
მწვანედ მჩქეფარე ნაკადულისკენ მიმავალ
ბილიკს.

მცუხრი სულისა

მე-2 რედაქცია

მდუმარება: ტყისპირთან უტყვად აღჩენილი
ბნელი ფრინველი;
გორაკზე მშვიდად ბოლოვდება მიმწუხრის
ქარი,

წყდება შაშვის ხმა,
ლელიანში
შემოდგომის უნაზესი ფლეიტები
დადუმებულან.

შენ, შავ ღრუბელზე ამხედრებული,
დაბანგული ყაყაჩოს სითხით, სტუმრობ
ლამის ტბორს,

ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას.
ისევ და ისევ, სულიერებით სავსე ღამე
დის მთვაროვანი ხმოვანებით განიმსჭვალება.

დასავლეთის სიმღერა

ჰოი, სულის ფრთებისცემა ბნელდამეული:
ოდეს მწემსები ვიყავით და ჩამობურულ ტყეთა
 ნიალ ვეხეტებოდით,
ხოლო წითელი ნადირი და ფრინველი ტყეთა,
მწვანე ყვავილი და მოდუდუნე ნაკადული
 მორჩილებით
აგვდევნებოდნენ. ო, ჭრიჭინას პირველქმნილი
 ამონამღერი,
სამსხვერპლო ქვაზე მოყვავილე ბრდღვიალა
 სისხლი
და ტბორის მწვანე სიჩუმის თავს ხმოვანება
 ეული ჩიტის.

ო, ჯვაროსნულო ლაშქრობანო და მხურვალე
 ტანჯვანო
ხორცის. ალისფერი ნაყოფის ცვენავ
მიმწუხრის ბალში, სადაც ერთ დროს
 მიმორბოდნენ უმანკო ყრმანი,
ხოლო ამჟამად მეომარნი, ჭრილობათაგან
 დავარსკვლავთა სიზმართაგან
 თავდაღწეული.
ო, ღამის ნაზი ღიღილოს კონა.

ო, დროებანო დუმილის და ოქროვანთა
 შემოდგომათა,
ოდეს ალისფერ ყურძენს ვწურავდით მოწესენი
 მშვიდობიანნი;
ხოლო ირგვლივ ტყეები და მთის ფერდობნი
 გაბრწყინდებოდნენ.
ჰოი, თქვენ, ციხე-სიმაგრენო, ნადირობანო;
 სიმყუდროვევ მიმწუხრისაო,
როს თვის სენაკში მართლად ბჭობდა ადამიანი
და უტყვი ლოცვით ლვთის ცოცხალ თავს
 მოიპოვებდა.

ჰოი, მიწურვის მწარე უამი,
ოდეს შავ წყლებში გავარჩიეთ ქვოვანი მზერა.
მაგრამ ელვარედ განიხვნებიან ვერცხლოვანი
 ქუთუთოები შეყვარებულთა:
ერთი მოდგმის. ვარდისფერი სასთუმლის
 პირით მოედინება გუნდრუკი და
ტკბილი გალობა მკვდრეთით აღმდგართა.

ფერისცვალება

საღამოჟამი როცა დგება,
ლურჯი მზერა უჩუმრად გტოვებს.
თამარინდის ტოტზე გალობს პანია ჩიტი.

ქვადქცეულ ხელებს გულზე იკრეფს
სათნო მოწესე.
მარიამს თეთრი ანგელოზი გამოუჩნდება.

საცნაურმყოფლის ჟამი თუა
იით, თავთავით, ალისფერი ყურძნით წნული
ღამის გვირგვინი.

შუბლს რომ ვერცხლისფერ ხელებში ჩარგავ,
შენს ფეხებთან
გარდაცვლილთა კუბოები განიხსნებიან.

უჩუმრად მკვიდრობს შენს ბაგეზე
ბნელი სიმღერის ყაყაჩოს წვენით
მთვრალი მთვარე შემოდგომისა;

გაყვითლებულ ქვიანებში წყნარად მუღერი
ლურჯი ყვავილი.

თბილი გშრალი ქარი

ბრმა მოთქმა ქარში, მთვარიანი ზამთრის
დღეები,
ყრმობა, შავ სხლტესთან ნაბიჯები წყნარად
კვდებიან.

მწუხრიჟამის ხანგრძლივი ზარი.
ახლოვდება თეთრი ღამე წყნარად და ზანტად,

ქვოვანი ყოფის ტანჯვას და ტკივილს
მობრდლვიალე სიზმრებად აქცევს,
რომ არასოდეს გაეცალოს ლპობად სხეულს
მწარე ეკალი.

ღრმად ოხრავს თვლემას მიცემული სული
მოშიში,

მიმომსხვრეულ ხეებს შორის ღრმად ოხრავს
ქარი,
და მგოდებელი დედა, ლასლასით მოარული
ამ უთქმელი მწუხარების

მარტოსულ ტყეში; ღამენი,
ცრემლით აღსავსენი, ცეცხლოვანი
ანგელოზებით.

ჩონჩხი ბავშვისა, ვერცხლისფრად რომ
მიეფშვნება შიშველ გალავანს.

მგზავრი

მე-2 რედაქცია

ისევ და ისევ, თეთრი ლამე იმ გორაკზე
ჩამოისვენებს,
სადაც ალვის ხე ვერცხლოვანი ხმოვანებით
გამორჩეულა,
ვარსკვლავნი და ქვანი სუფევენ.

მოეთაღება მთის ნაკადულს მთვლემარე ხიდი,
ასდევნებია ყრმას მკვდარი სახე,
ნამგალა მთვარე ვარდისფერ ხევში

სიშორისთვის სადიდებლის აღმომთქმელ
მწყემსთა. ძველ ქანებს შორის,
ბროლის თვალებით გადმოიმზერს ირგვლივ
გომბეშო,
მოყვავილე ქარი იღვიძებს, მკვდრის მსგავსის
ფრთოსნურ ხმას და ნაბიჯს
წყნარად მოსავს ტყეში სიმწვანე.

მეხსიერებას ხეს და ნადირს წარმოუდგენს ეს
ყოველივე. ხავსის ნელი სვლა;
და კვალად მთვარე,

ელვარედ რომ იძირება მწუხარე წყლებში.

ის კვლავ ბრუნდება და წრიალებს მწვანე
ნაპირთან,
მიმორნეული შავი გონდოლით განვლის ქალაქს,
უკვე ჩაქცეულს.

პარლ პრაუსი

ჭეშმარიტების დიადი და თეთრი მოწესე,
ხმა ბროლიადი, რომელშიც უფლის სუნთქვა
სუფევს ყინულოვანი,
განრისხებული ჯადოსანი,
ხოლო ცეცხლოვან სამოსელქვეშ - მეომრის
ლურჯი აბჯრის ჟღრიალი.

დადუმებულთადგი

ო, სიგიჟე დიდი ქალაქის, სადაც მწუხრის ჟამს
შავ კედელთან სახიჩარი ხეები სდუმან,
ვერცხლისფერ ნიღაბს შეხიზნული ავი სული
 ირგვლივ მზერას მიმოატარებს;
ქვოვან ლამეს განაძევებს შუქი, მაგნიტის
 მათრახიანი.
ო, დაძირული ხმოვანება მწუხრის ზარების.

აი, მეძავი, ყინულოვანი ძაგძაგით რომ
 დაბადებს მკვდარ ბავშვს.
ეშმაკეულით პყრობილი შუბლიუფლის
 რისხვით გაიროზვება;
დამამსხვრეველი მწვანე თვალთა, - ალისფერი
 ჭირი, შიმშილი.
ო, როცა ოქრო საზარი ხმით დაიწყებს ხარხარს.

მაგრამ ადამის მუნჯი მოდგმა ბნელ მღვიმეში
 უხმაუროდ იღვრება სისხლად,
და უმტკიცეს ლითონთაგან მხსნელ თავს
 აშენებს.

360ბა

მე-3 რედაქცია

მწუხარის ბალში რომ ორთეოსი მკვდარს
დაიტირებს
და ირგვლივ ჰანგი ვერცხლისფერი
მიმოიღვრება,
ვინ ხარ შენ, მაღალ ხეთა ჩრდილქვეშ
განსვენებულო?

იგლოვს ლერწამი შემოდგომის,
ლურჯი ტბორი,
მწვანე ხეებქვეშ სულის მღაფავი
და დის აჩრდილს ადევნებული;
ბნელით მოცული სიყვარული
ველური მოდგმის,
ოქროსეტლიან დღენათელს რომ უდიდებია.
მდუმარე ღამე.

უღრან ნაძვნარში
ნყვილი მგელი სისხლს ურევდა
ქვოვან ალერსში; ხიდურის თავს
ოქროვანი გაქრა ღრუბელი,
მოთმინება და მდუმარება ბავშვობის უამის.
ისევ და ისევ საცნაურია სათუთი გვამი

ტრიტონის ტბორთან,
ძილს მიცემული, სუმბულისებრკულულიანი.
დე, საბოლოოდ ჩამოიმსხვრეს ეს გრილი თავი!

რამეთუ მიწყივ თანამდევია ლურჯი ნადირი,
მწუხრის ხეებქვეშ გამომზირალი,
ამ პნელ ბილიკთა
მოთვალთვალე, აღელვებული ღამეულ
კეთილხმოვანებით,
ნაზი სიგიჟით;
ან, სულაც, ისევ ხმოვანებდა
ქვოვან ქალაქში,
მონანიე ქალის გრილ ფერხთით,
საკრავი, სავსე ბნელი ექსტაზით.

სიკვდილის შვილხეიანი საგალოპელი

ცისფრად ბინდდება გაზაფხული; წყალს
დახარბებულ ხეთა ტოტებში
წყვდიადი დაძრნის დაისის და დასასრულის
უამს,
შავი შაშვის მსუბუქ ჩივილს ყურმიპყრობილი.
ღამე - მდუმარედ მანათობელი; მხეცი,
სისხლისგან განლეული,
გორაკზე რომ ნელა ეცემა.

მიმოირნევა სველ ჰაერში მოყვავილე ვაშლის
ტოტნარი,
გამოხლართული, თავს ვერცხლისფრად
ითავისუფლებს,
ღამეულ თვალებს ნება-ნება გარდაეცვლება;
ვარსკვლავთცვენა;
უნაზესი გალობა ყრმობის.

მოხილვადი, შავი ტყისკენ დაეშურა
ძილსმიცემული,
დალურჯი წყარო მინას გაბმით
ჩაპბუტბუტებდა,
თოვლითფენილ მის სახეზე
რაოდენი სიმსუბუქით განიხსნებოდნენ
გაფითრებული ქუთუთოები;

და ბუნაგიდან
ნითელი მხეცი განდევნა მთვარემ;
ქალების ბნელ გვრინს სული ოხვრით
ამოუვიდა.

თეთრი უცხო
საკუთარი ვარსკვლავისკენ მოელვარედ
იწვდიდა მკლავებს;
მკვდარმა დუმილით დაუტევა ჩაშლილი სახლი.

ო, ადამის ძის ლპობადი სახე: ყინულოვანი
ლითონებით ჩამონაკვთული:
ლამე და შიში დაძირულ ტყეთა,
მხეცის დამწვარი სამკვიდრებლის;
საამური ქარი სულისა.

ის შავი ნავით მიჰყვებოდა
ალისფერი ვარსკვლავებით სავსე დინებას, და
იხრებოდა
ამწვანებული ტოტნარი მისკენ, მშვიდობის
ნიშნად,
ვერცხლოვანი ღრუბლის ყაყაჩო.

ზამთრის ღამე

თოვლი მოვიდა. შუალამე როცა გადავა, ალის-ფერი ღვინით გამომთვრალ ადამიანთა ბნელ გარემოცვას და მათი კერის წითელ ცეცხლს ტოვებ. ო, უკუნეთი!

შავი ყინვა. მკაცრია მიწა, სიმწრის სუნი მოიცავს ჰაერს. ავს მოასწავებს, როცა შენი ვარსკვლავები იხურებიან.

რკინისგზის ყრილზე ქვადქცეული ნაბიჯებით მძიმედ მავალი, მრგვალი თვალებით, ჰგავხარ ჯარისკაცს, შავ სანგარზე მოიერიშეს. წინ!

უმწარესი თოვლი და მთვარე!

წითელი მგელი, ანგელოზი რომელსაც ახრჩობს. შენი ფეხები ისე, როგორც ლურჯი ყინული, ჩხრიალებენ სიარულისას, ხოლო სახეზე შეგყინვია გლოვითა და ქედმაღლობით სავსე ღიმილი და შენი შუბლი ფერმიხდილა ავხორცი ყინვით;

ან იგივ შუბლი უტყვად იხრება ხისგან შეკრულ ქოხს შეხიზნული დარაჯის ძილის მიმართულებით.

ყინვა და კვამლი. ვარსკვლავუხვი თეთრი ფარაჯა ამონვავს მძლავრ მხრებს და ღმერთის ძერებს დარჩენიათ საძიგნად შენი ლითონის გული.

ო, ქვის გორაკი. ჩუმად ლლვება და ავიწყდ-
ებათ ვერცხლისფერ თოვლში ჩარჩენილი გრი-
ლი სხეული.

შავია ძილი. ყინულზე ყური დიდხანს მისდ-
ევს ვარსკვლავთა ნაგზევს.

გაღვიძებასთან ერთად სოფლად ზარებირე-
კდნენ. აღმოსავლეთის კარიბჭიდან ვერცხლო-
ვანი ნაბიჯებით მოდიოდა ვარდისფერი დღე.

3. ენაციაში

მდუმარება - ლამის ოთახში.
ვერცხლისფრად ბუუტავს სანათური
მარტოსულის
მოგალობე სუნთქვის წინაშე;
ჯადოსნური ღრუბელი ვარდთა.

ჩამოაბნელებს ქვოვან სივრცეს
ბუზანკალთა მოშავო გუნდი
და აღსავსეა ოქროვან დღის
ტანჯვით თავი
უსამშობლოსი.

ზღვა უძრავად ჩამობნელდება.
ვარსკვლავი და მოშავო სვლა
განიმქრა არხთან.
ბავშვო, სნეული შენი ღიმილი
ძილში მცხრალად ამდევნებოდა.

განსამართებელი

შემოდგომის გალავნებთან, აჩრდილები
დაეძებენ

გამხმარ ჭადართა სიჩუმეში
გორაკის თავს მოწკრიალე ოქროთა მწყემსებს

-

მიმწუხრის ღრუბლებს.

უბნელეს ცრემლებს სუნთქავს ეს დრო,
წყევლა, როს გული მეოცნებისა
მობრდლვიალე მწუხრის სიწითლეს
გადმოეღვრება,

აკვამლული ქალაქის სევდა;

უცხოს, გზად მავალს,

ოქროს სიგრილე მიეწევა სასაფლაოდან,
ასდევნებოდეს თითქოს ჩრდილში სათუთი
გვამი.

წყნარად ჩამორეკს ქვის შენობა;

ობოლთა ბალი, ჰოსპიტალი ბნელით მოცული,
ხოლო არხში - წითელი ნავი.

წამოიწევენ მეოცნებედ და კვლავ წყვდიადს
ინთქმებიან

კაცნი, ლპობამორევნილები,
და კუპრისფერი კარიბჭიდან

გამოდიან ანგელოზნი ცივშუბლიანნი;

სილურჯე, დედის სიკვდილის ზარი.

მის ხშირ თმიანში

ცეცხლოვანი მიგორავს თვალი, დღემრგვალი

და

მიწის ტანჯვა უდასასრულო.

გრილ და უაზრო ოთახებში

ლპება ავეჯი, დაჩონჩხილი ხელებით ეძებს

სილურჯის წიაღ

თავის ზღაპრებს უღვთო ბავშვობა,

კარს და ზანდუქს ქონიანი ვირთხა

შემოღრღნის,

თოვლიანი მდუმარება

გულს გააქვავებს.

ხოლო შიმშილის ცეცხლოვანი შეჩვენებები

ექოებად იბნევიან მძალე ყომრალში,

კუპრისფერი ხმლები სიცრუის,

დაიხურაო თითქოს მძიმედ რკინის ჭიშკარი.

გზა

ყოველდღიურად გორაკს თავზე ყვითელი მზე
წამოადგება.

მშვენიერია ტყე, ბნელი მხეცი,
ადამიანი; მონადირე ან სულაც მწყემსი.

მწვანე გუბეში ხლტება თევზი, წითლად
ფერილი.

წყნარად მიცურავს ლურჯი ნავი მეთევზისა
ცარგვალქვემეთში.

მწიფს ნება-ნება ვაზი, ხორბალი.

კვლავ შემართულან სიკეთე და ბოროტება,
დღე რომ ფრთხილად მიიდრიკება.

როცა ლამდება,
ზეანევს დინჯად მგზავრი მძიმე ქუთუთოებს;
მზე პირქუში ხეობიდან ამოირლვევა.

დატყვევებული გამვის გაღობა

ლუდვიგ ფონ ფიკერს

ბნელი სუნთქვა - მწვანე ტოტებში.

ლურჯი ყვავილი ეფინება ეულის
სახეს, ოქროსფერ ნაბიჯს,

სულისმღაფავს ზეთისხილის ქვეშ.

ღამე მთვრალ ფრთებს ააშრიალებს.

მორჩილება კი რა სიწყნარით იღვრება
სისხლად,

ნამი, რომელიც ნელ-ნელა და წვეთ-წვეთად
სდის ქაცვს, მოყვავილეს.

შემოჭდობია დამსხვრეულ გულს ლმობიერად
თანალმობა ელვარე მკლავთა.

ზაფხული

მწუხარის ტყეში მიჩუმდება
გუგულის გვრინი.
დაიზიდება მძიმედ თაველი,
ალისფერი - იქვე - ყაყაჩო.

გორაკის თავს იმუქრება
შავი ავდარი.
მინდვრად
ჭრიჭინას ძველი სიმღერა აღესრულება.

აღარ შრიალებს
წაბლის ფოთოლი.
საცნაურია შენი კაბის შარიშური
ხვეულ კიბეზე.

ბნელ ოთახში -
ოდენ სანთლის მკრთალი ციალი;
მას ვერცხლოვანი ხელი
აქრობს;

უვარსკვლავო, ქარმშვიდი ღამე.

ზაფხულის მინურული

რარიგ ჩამცხრალა მწვანე ზაფხული,
ბროლიადი შენი იერი.
ალსრულდებოდნენ ყვავილები მიმწუხრის
ტბორთან,
შეშინებული შაშვის ძახილი.

უქმი იმედი სიცოცხლისა. სახლეული
მერცხალი უკვე მზადმყოფია შორი
ფრენისთვის
და გორაკს მიღმა მზე იძირება;
ლამე უკვე იუწყება ვარსკვლავთმგზავრობას.

სიმყუდროვე სოფლებისა; ირგვლივ
ტყენი ხმიანობენ, მიტოვებულნი. გულო,
ამიერ სიყვარულით დაედრიკე
უშფოთველად მძინარე ასულს.

რარიგ ჩამცხრალა მწვანე ზაფხული
და ჟღერს ნაბიჯი
არაქაურის, ვერცხლოვანი ლამის გამჭოლი.
გახსენდებოდეს ლურჯი მხეცი მისი ბილიკის,

სულიერთა მისთა წელთა კეთილი ჰანგის!

თელიცადი

ბავშვობის ბნელი მდუმარება. ამწვანებულ
იფნის ხეებქვეშ
ძოვს მორჩილება მოლურჯო მზერის. ოქროს
დუმილი.

სიბნელეს იის სურნელება აღაფრთოვანებს;
დაისის პირზე
თავთავის რწევა, მარცვლები და ოქროსფერი
ჩრდილები სევდის.

ძელს შემოკაფავს ხურო; მიმქრალ არემარეში
იღვნის წისქვილი; მწვანე თხილნარში
ალისფერი ბაგე მრგვალდება,
წითლად იხრება კაცთაგანი მდუმარე
წყლისკენ.

შემოდგომას, დატყის სულს, კვლავაც მშვიდობა
მსჭვალავს; მარტოსულს თან სდევს
ოქროს ღრუბელი, შვილიშვილის შავი აჩრდილი.
ქვოვან ოთახში - დაისის დრო; ხანმოთეულ
კვიპაროსებქვეშ,
წყაროსთან, ცრემლის ღამეული სურათები
მოგროვებულან;
დასაწყისის ოქროს თვალი, დასასრულის
ბნელი დათმენა.

დასავლეთი

მე-4 რედაქცია

ელზე ლასკერ-შულერს, მოკრძალებით

1

ლურჯი მღვიმიდან,
როგორც მკვდარი, გამოდის მთვარე,
და ქვოვან ბილიკს
მირიადი ყვავილი აწვიმს.
ვერცხლისფრად ტირის ავადმყოფი
მიმწუხრის ტბორთან.
სიკვდილის მხარეს
შავი ნავით გაუცურავთ შეყვარებულებს.

ხოლო კორომზე, სუმბულთა შორის,
ელისის ფეხის ხმა-წკრიალი იღვრება და
მუხიანში იკარგება უამიდან უამზე.
ჰოი, ყრმის სახე,
ბროლის ცრემლთაგან
და ლამეულ აჩრდილთაგან ჩამონაკვთული!
მარადცივი საფეხქელი
კბილცეცხლოვანი ელვის ძალით

ინათებს კვალად,
მწვანე ქედებს
გაზაფხულის ავდარი რომ დაეუფლება.

2

ასერიგ სდუმან
ჩვენი სამშობლოს მწვანე ტყეები,
ტალღა ბროლისა,
ჩამოქცეულ გალავანთან სულისმღაფავი
და ჩვენ ძილში მწარედ ვიტირეთ;
ეკლოვან სხლტეთა გაყოლებით
მგალობელნი სეირნობენ
მწუხრის ზაფხულუამს,
ვენახთა შორით ფენილი ნათლის
წმინდა სიმშვიდეს აღუვსია ნაბიჯი მათი;
აი, ჩრდილები - მგლოვიარე არწივები -
ყინულოვან წიაღში ღამის.
სევდის ალისფერ ჭრილობებს კი
წყნარად აშუშებს მთვარის ნათელი.

3

დიდნო ქალაქნო,
ქვით ნაშენნო

ვაკემიწებზე!
ასე კაცი უსამშობლო
მდუმარედ მისდევს,
სახექუფრი, ქარის დინებას,
ბექს შეფენილ შიშველ ხეთა რიგს.
თქვენ, ყოველგან დაბინდულო მდინარეებო!
ოდეს დაისის საშიშ წითელს
აღმოვაჩენთ ავდრის ღრუბლებში,
უსაშველო აგვიტანს ძრწოლა.
მომაკვდავო, ჰოი, ხალხებო!
წამხდარო ტალღავ,
მიმსხვრეულო ლამის მეჩეჩს,
თქვენ, ვარსკვლავნო, უკვე მომწყდარნო.

სულის გაზაფხული

ამოყვირება ძილში; შავ შუკებს აწყდება ქარი,
მსხვრევად ტოტნარში ნიშანს იძლევა

გაზაფხულის ლურჯფეროვნება,
ალისფერი ნამი ღამისა, ვარსკვლავები ქრებიან
ირგვლივ.

მდინარეს მწვანე ბინდი მოსავს,

ვერცხლისფერი – ძველ ხეივნებს,
ქალაქის კოშკებს. ო, ტკბილმსუბუქი თრობის
ჟამი

სრიალა ნავში და შავი შაშვის ბნელი ძახილი
ბავშვურ ბალებში. ვარდისფერი მარმაში უკვე
საჩინოვდება.

საზეიმო ხმაური წყალთა. ო, მინდვრიანი

ნაპირების სველი ჩრდილები,
მხეცის ნაბიჯი; ამწვანებული, ყვავილებით

უხვი ტოტნარი
არხევს ბროლის შუბლს; მოლიცლიცე
ნავსარწეველა.

წყნარად ხმოვანებს მზე ვარდისფერ

ღრუბლებში, ბორცვთან.
დიდ არს სიჩუმე ნაძვნარისა, მდინარის ნაპირს
მოჯარული მკაცრი ჩრდილები.

წმიდა არს! წმიდა! სად ჰგიებენ ბილიკები
სიკვდილსაშიში,
დუმილის რუხი ქვიანი და სიპები ლამის,
უამრავი მშფოთვარე ჩრდილი? მზის
უფსკრული, მანათობელი.

როცა გპოვებდი, დაო, ეულ ველობზე
ტყისა, და იყო შუადღე, დიდი იყო დუმილი
მხეცის;
სითეთრე ველურ მუხის ძირში, და
ვერცხლისფრად ყვაოდა ქაცვი.
ძლევამოსილი სიკვდილი და - მომღერალი
კოცონი გულში.

ბნელად ჰყვარობენ წყლები თევზთა ლამაზ
თამაშებს.
გლოვის საათი, მზის უტყვი მზერა;
უცხოა სული დედამიწაზე. ზეციურად
ჩამობინდება
ჩამოშლილ ტყეთა თავზე სილურჯე და რეკავს
სოფლად
ბნელი ზარი ერთობ ხანგრძლივად; პროცესია
მშვიდობიანი.
მშვიდად ყვავილობს მურტი მკვდრის თეთრ
ქუთუთოებზე.

წყნარია წყლების ხმიანობა მიწურვილი
ნაშუადლევის ჟამს
და მივარდნილი ადგილები ნაპირებთან
ბნელად მწვანობენ, სიხარული ვარდისფერ
ქარში;
მწუხრის გორაკზე - ძმის გალობა უსათუთესი.

პრელში

მე-2 რედაქცია

დადუმებულა სული ლურჯი გაზაფხულისა.
დაისის ჟამის სველ ტოტებქვეშ
შეყვარებულთა შუბლნი დანთქა ციებ-
ცხელებამ.

ო, როცა ჯვარი გამწვანდება. ბნელ საუბარში
ერთურთი იცნეს კაცმა და ქალმა.
ჩამოშიშვლებულ გალავანთან
ეული თავის მნათობებთან ერთად სეირნობს.

ტყის მთვარენათელ ბილიკებს კი
დავიწყებულ ნადირობათა
ეკალ-ბარდი ჩამოსწოლია; სილურჯის მზერა,
ჩამოშლილი კლდეებიდან გამორღვეული.

მიცვალებულის გალობა

კარლ ბორომოის ჰაინრიხს

ჰარმონიით აღსავსეა ფრთოსანთა ფრენა.

შეგროვებულან მწვანე ტყეები
და დუმებულ ქოხმახებთან მიმწუხრის უამზე;
შვლის ბროლიადი საძოვრები.

წყვდიადის ძალით დაცხრებიან ნაკადულის
დუდუნი და სველი ჩრდილები

და ყვავილები ზაფხულისა, ქარში ამოდ
აუღერებული.
ფიქრს მიცემული კაცის შუბლი უკვე ბინდით
გარემოცულა.

ხოლო მის გულში ლამპარი კრთის, იგივ სიკეთე,
და - ნადიმი მშვიდობიანი; რადგან წმინდაა
პური და ლვინო,
უფლის ხელით მოწოდებული; უტყვად
მოგაპყრობს ლამესავსე თვალებს
შენივ ძმა, რომ მოისვენოს ეკლიანი ყარიბობით
ლონემიხდილმა.
ო, ბინადყოფნა, განმსჭვალული სულჩადგმული
სილურჯით ლამის.

და მდუმარება გარდასულთა აჩრდილებსაც
სიყვარულით ჩაიკრავს გულში,
იმ დიდი გვარის მობრდლვიალე ტანჯვებს და
ქვითინს,
მარტოდშთენილ შვილიშვილში მორჩილად რომ
ნარმოჩენილა.

სიგიჟის შავი წუთებიდან კვლავ ელვარედ
გამოფხიზლდება
წამებული ქვადქცეულ ზღურბლთან
და მას მძლავრად შემოეჭდობა სილურჯე და
შემოდგომის მიწურული, გაბრწყინებული,
მშვიდი სახლი და ტყის ლეგენდები,
მიჯნა და წესი და მთვარიანი ბილიკები
განსვენებულთა.

ჰელპრუნში

მიმწუხარზე კვლავაც ლურჯი მოთქმის კვალში
ჩადგომით
გორაკთან, ტბორთან გაზაფხულისა -
როცა მის თავზე ირწეოდნენ აჩრდილები დიდი
ხნის წინ აღსრულებულთა,
აჩრდილები ეკლესიის წინამძღოლთა, ზეპურ
დედათა -
ყვავილებს მათსას, მართალ იებს
შებინდების მიწა მოურთავთ, და მირაკრაკებს
ლურჯი წყაროს
ბროლის ნაკადი. ასე სულისად მწვანდებიან
მუხები მკვდრების დავიწყებულ ბილიკთა
თავზე,
ტბორის თავზე - ოქროს ლრუბლები.

გული

თეთრი იყო ტყეთა წიაღ ველური გული;
ო, ბნელი შიში
სიკვდილისა, რუხ ღრუბლებში
ოქრო ასე გარდაცვლილიყო.
ნოემბრის მწუხრი.
სასაკლაოს შიშველ ჭიშკართან
იდგა ღარიბი ქალების გროვა;
კალათებში
იყრებოდა მყრალი ხორცი და შიგნეული;
ამაზრზენი მათი საკვები!

დაისის ლურჯ მტრედს
მშვიდობა არ მოუტანია.
საყვირთა ბნელი ხმოვანებით
იყო აღსავსე თელების
სველი ოქროს სხეული.
ნაკუნებად ქცეული დროშა,
ახრჩოლებული სისხლის სუნად,
რათა სასტიკ მწუხარებაში
ჩაიძიროს კაცი მავანი.
ო, დროებანო რკინისანო,
დამარხულნო სიწითლეში მიმწუხრის ჟამის!

გაფითრებული მთვარით მოსილი
ყმანვილქალის
ოქროს სახე
დაჩნდა ბნელი სახლის კარსელში,
კარ-მიდამო შემოდგომური.
ღამის ქარიშხლით გადატეხილი შავი ნაძვები,
მოდრეკილი მათი სიმტკიცე.
ო, გული,
თოვლის სიგრილეში მინავლული მისი ციმციმი.

პილი

მე-2 რედაქცია

დაწყევლილნო ბნელნო შხამნო
და თეთრო ძილო!
ეს უჩვეულოდ უცხო ბალი
დაბინდულ ხეთა
აღსავსე არის გველებით და ფარვანებით,
ობობებით და ღამურებით.
არაქაურო! დაკარგული შენი ჩრდილი
მენამულში მიმწუხრის ჟამის,
ბნელი კორსარი
მლაშე ზღვაში უბედობისა.
მიმოეშალნენ ღამის ქობას თეთრი ჩიტები
ფოლადით ნაგებ
და ჩაქცეულ ქალაქთა თავზე.

ავდარი

ველურო მთებო, ამაღლებულო
მწუხარებავ არნივებისა.

ოქროს ღრუბელი

დაფენია კლდოვან უდაბნოს.

დამთმენ სიმშვიდეს სუნთქავენ ფიჭვნი,
შავი კრავები უფსკრულის პირას,

უცებ სილურჯე

უცნაურად სადაც დუმდება,
ულბილესი ზუილი ბაზთა.

ზურმუხტისფერი, ო, ყვავილი -
ო, მდუმარება.

მთის ნაკადულთა ბნელი სულები

გულს ზღაპრულად შეძრავენ და

შეაშფოთებენ,

სრული წყვდიადი,

ხეობას რომ თავს დაატყდება!

გზასაცდენილი

თეთრი ხმები საშიშ ჭიშკრებთან,

მიმორღვეულ ტერასებთან,

ძალმოსილი რისხვა მამათა, გვრინი

დედათა,

ყმაწვილკაცის საომარი ოქროს ყიჟინა

და არშობილის
გაუხელელ თვალთა გოდება.

ო, ტკივილო, ცეცხლოვანო გამოხედვავ
დიადი სულის!

ცხენების და საზიდრების
შავ ჯგლეთაში გაბრწყინდება
საზარელი ელვა ვარდისფრად
და აუღერებულ ნაძვნარში ქრება.
ხოლო ამაყ თავს
მიმზიდველი სიგრილე მოსავს,
მოვარვარე მწუხარება
გამწყრალი ლმერთის.

ძრწოლავ, შავო და შხამიანო
გველო, მტვრად იქეც სიპ ქვიანებში!
მოწყდება ცრემლთა
ნიალვარი და დაქანდება,
ქარიშხალი-თანაგრძნობა,
საცნაური მუქარით სავსე მეხთატეხაში
თოვლით მოსილ მწვერვალთა ირგვლივ.
ცეცხლი
ნათელყოფს დაფლეთილ ღამეს.

საღამო

მდუმარე ტყეებს
გარდაცვლილ გმირთა სახეებით
აღავსებ, მთვარევ;
შეყვარებულთა მორცხვი ალერსით,
ხრწნადი კლდეების შემომჯარველ
სახელოვან დროთა ჩრდილებით
მიმოავსებ,
ნამგალა მთვარევ;
ლაუვარდოვნად განათდება ქალაქის მხარე,
სადაც ცივი და ავბოროტი
საცხოვრისი გაუმართავს
ხრწნამორევნილ გვარს,
თეთრ შვილიშვილს რომ
განუმზადებს უკუნ მომავალს.
მთვარისშთანმთემელო, ჰოი, ჩრდილებო,
მთის ტბის ცარიელ
ბროლშირომ ოხრავთ.

ცენტ

თქვენ ამოგიმღერთ, შლეგო სიპებო,
მთებო, ღამეულ ქარიშხლებით
თავმოყრილებო;

მრუმე კოშკებო,

აღსავსენო ჯოჯოხეთურ გამოხედვებით

და ცეცხლოვანი ცხოველებით

და უხეში გვიმრით, და ნაძვით,

პროლისტურაცილით.

შენ, უსასრულო წამებაო,

ლმერთს რომ ეძიებ,

შენ, სათნო სულო,

გამწყვალ ფიჭვნარს და

წყალვარდნილებს რომ შეისუნთქავ:

ირგვლივ ოქროსფრად ენთებიან

კოცონნი ხალხთა.

ხოლო მოშავო ფრიალოებს

ქარიშხალი,

შესლილი და სიკვდილნასვამი -

მყინვარის ტალღა ულურჯესი -

ჩამოემხობა,

კელს მოედნება უძლეველი ზარის ქუხილი:

ჩირალდნები და წყევლა-კრულვა,

ავხორცობის
ბნელი თამაში,
ქვადქცეული თავი
ზეცას შეჭიდებია.

ნალველი

უძლეველი ხარ, ბნელო პირო
შინაგანისა, შემოდგომის ღრუბლებისგან
ნაძერწო სახევ,
მწუხრიუამის ოქროს სიმშვიდის;
დამსხვრეულ ფიჭვთა
აჩრდილების სამეუფოში
ზუსმუხტისფერ ბინდს შერთული მდინარე
მთისა;
სოფელი,
ლეგა ხატებად რომ მორჩილებით აღესრულება.

შავი ცხენები ჯირითობენ
დანისლულ ველზე.
ჯარისკაცებო!
ქედიდან, სადაც მზე მიგორავს
სულისმღაფავი,
სისხლი სიცილით ჩაიქცევა -
უტყვ
მუხიანში! ო, მრისხანე ნალველი
ჯარის; ელვარე ზუჩი
ალისფერ შუბლს ზრიალით მოსწყდა.

მოაწევს რარიგ ცივი ღამე შემოდგომისა,

ვარსკვლავთა ძალით გაბრნებუნდება
მამაკაცთა დამსხვრეული ძვლების დამყურე
ბაგეუტყვი მოწესე ქალი.

შინ დაბრუნება

მე-2 რედაქცია

უბნელესი წლების სიგრილე,
ტკივილი და იმედი
იცავს გიგანტურ ლოდებს,
უკაცრიელ მთებს,
შემოდგომის ოქროვანი სუნთქვა,
ღრუბლები მიმწუხრისა -
ეს სიკამკამე!

ლურჯი თვალებით მიმოიმზერს
ბროლის ბავშვობა;
ბნელ ნაძვნარში
სიყვარული, იმედი კვალად,
რომ ცეცხლოვანი ქუთუთოების
ცვარი უწყვეტად დაეცემა
მიუძრავ ბალახს!

ო! იქ ხიდურა ოქროვანი,
ჩაქცევადი თოვლში
უფსკრულის!
ლურჯ სიგრილეს
შეისუნთქავს ღამის ხეობა,
რწმენა, იმედი!
მარტოსულო სასაფლაო, სალამი შენდა!

აღმოსავლეთში

ზამთრის ქარიშხლის ველურ ორდანებს
ჰგავს ხალხის ბნელი მრისხანება,
მეწამული ტალღა ბრძოლისა,
განფოთლილი ვარსკვლავებისა.

ჩამომსხვრეული წარბებით და ვერცხლის
მკლავებით
ღამე მომაკვდავ ჯარისკაცებს გაენიშნება.
შემოდგომის იფნის ჩრდილში
დახოცილთა სულნი ოხრავენ.

წარ-ეკლიანი ტყე-ლრეები ესალტვის ქალაქს.
დაზაფრულ ქალებს
მთვარე სისხლიან საფეხურებს
დაათმობინებს.
კარიბჭეში შეაღწიეს მძვინვარე მგლებმა.

გვრინი

ძილს და სიკვდილს, გულქვა არწივებს,
ამუმთავრესის გარშემო აქვთ ღამეული ბჭობა-
გნიასი:

ადამიანის ოქროს ხატი
მარადისობის ყინულოვანი ტალღის ძალით
უნდა დაემხოს. შემზარავ რიფებს
მიემსხვრევა ცეცხლოვანი სხეული და
ზღვის თავს
ბნელი ხმის ჩივილი მიმოიქცევა.
ქარიშხლიანი სევდის დაო, მზერა მიაპყარ,
ვარსკვლავქვეშეთს
დაენთქმება მფრთხალი ნავი,
ღამის უტყვი სახეს.

გროვეპი

მე-2 რედაქცია

აუღერდებიან სასიკვდილო იარაღის ძალით
მიმწუხრზე

შემოდგომის ტყეები და ოქროს ველები
და ლურჯი ტბები, რომელთა მიღმა
მოქუფრული მზე ჩაგორდება; ღამე ჩაიკრავს
მომაკვდავ მებრძოლთ, ხაფუ ღრიალს
მათი დამსხვრეული ბაგეებისა.
მაგრამ ძენიათა ფესვებში წითელ ღრუბელთა
გუნდი,
რომელშიც უკვე ღმერთი სახლობს
განრისხებული,
წყნარად აგროვებს დაღვრილი სისხლს და
მთვარის სიგრილეს;
ხოლო შავ ლპობას შეერევა ყოველი ქუჩა.
ღამეუამის და ვარსკვლავების ოქროს
ტოტნარქვეშ
მიმოირნევა დის აჩრდილი უტყვი ტყის წიაღ,
შესაგებებლად სისხლად დენილ თავებთან და
გმირთა სულებთან;
და წყნარად უღერენ ლერწამში ბნელი
ფლეიტები შემოდგომისა.

ო, სიამაყით აღსავსე გლოვა! თქვენ,
ბრინჯაოს საკურთხევლებო!
სულის მხურვალე ცეცხლი კვებავს დღეს
ძლიერ ტკივილს,
არშობილ ბადიშთ.

განთიადის სიმღერა

მაშ, ტიტანურო ყმაწვილკაცო, ქვედაეშურე,
და შენი სატრფო ძილს წარსტაცე,
 გამოაღვიძე!
ქვედაეშურე, და შეუმკე უნაზესი
 ყვავილებით
თავი, სიზმრით გაბრუებული.
შენი ჩირაღდნის მობრიალე ცეცხლი შეუნთე
 ფორიაქით აღსავსე ზეცას,
რათა ფერმკრთალმა ვარსკვლავებმა ცეკვა-
 ცეკვით დაიწკრიალონ
და ღამის ყველა მიმომფრენი საბურველი
აალდეს და უკვალოდ გაქრეს,
მიმოიფანტონ ციკლოპური რათა
 ღრუბლებიც:
მათგან ზამთარი, დედამინას თავდალნეული,
ჯერაც ღმუის და იმუქრება ყინულის
 სეტყვით,
და იხსნებიან მოელვარე სიწმინდეში
 გახვეული ზეციური სიშორეები.
მერე, მფრინავი კულულებით მოისწრაფვი,
 დიდებულო,
დედამინისკენ, რომელიც თავის ცეცხლოვან
 საქმროს

ბედნიერი დუმილით გხვდება, და ერთიანად
მოცახცახე
შენი შლეგი, ბობოქარი ხვევნა-ალერსით,
თავის წმინდა წიაღს განგიხვნის.
და, დაბანგული, უტკბილესი წინათგრძნობით
არის მოცული,
როცა შენ მასში, ყვავილობით გახურებული,
აღვიძებ
ღივით სავსე სიცოცხლეს, რომლის მაღალი
წარსული ერწყმის უმაღლეს მერმისს,
და შენ გგავს იგი, ისე, როგორც შენ თავად
ხარ შენივე მსგავსი,
შენივე ნებას მიძღვნილი და მიწყივ მოძრავი,
რათა სიცოცხლის საიდუმლო მარადიული,
მისი მაღალი მშვენიერებით, მომავალშიც
განახლდებოდეს.

სიზმარადგარები

სად ხარ, მხარდამხარ ვინც მომყვებოდი,
სად ხარ ძვირფასის სახევ ციურო?
სულელო! - ყურში ჩამქირქილებს სასტიკი
ქარი -

სიზმარი იყო! სიზმარი! ბრიყვო!
და მაინც, მაინც! ხომ იყო ერთ დროს,
ვიდრე ღამის და სიმარტოვის კარს შევაღებდი?
ჯერ კიდევ გახსოვს, სულელო, ბრიყვო!
სასტიკი ქარი, იგივ ექო ჩემი სულისა:
სულელო! ბრიყვო!
განა არ იდგა ის ვედრებით ხელებგაწვდილი,
და მისი ბაგე არ დაეპყრო მწუხარე ღიმილს,
არ ხმობდა განა ღამეში და სიმარტოვეში!
მაინც რას ხმობდა! შენ ეს არ იცი?
ვით სიყვარული გაისმოდა. არ უბრუნებდა,
ეს სიტყვა ექოს არ უბრუნებდა.
განა თუ იყო სიყვარული? ვწუხვარ, არ
მახსოვს!
რაც ირგვლივ მაკრავს, ღამეა და სიმარტოვეა,
და ქარი - ექო ჩემი სულისა!
რომ არ წყვეტს ქირქილს: სულელო! ბრიყვო!

სული ღამისა

უტყვად დაეშვა შავი ტყიდან ლურჯი ნადირი
თავქვე სულისკენ,
სადაც ჰგიებდა ღამე, ხავსიან საფეხურებზე
- ნაკადული თოვლდაფენილი.

სისხლის და აბჯარ-იარაღის ფორიაქი
გარდასულ დროთა
ყრუდ უღერს ფიჭვებქვეშ.
მთვარე მცხრალად გაანათებს ჩაშლილ
ოთახებს,

ბნელ საწამლავთა ძალით მთვრალი,
ვერცხლის ნიღაბი
ჩამოხრილა მწყემსთა თვლემისკენ;
თავი, მისივე ლეგენდები მდუმარედ რომ
დაუტევებენ.

ო, მერე ნელ ხელთ განხვნის მავანი
ხრნნამორევნით მენამულ ძილში
და მაშინ ზამთრის ყვავილები ტყის პირს
ვერცხლისფრად

განიშლებიან, გაბრწყინდებიან ბნელი გზები

ქვოვან ქალაქში;
შავნალვლიანი ბუკიოტი მონდომებით უხმობს
დაბანგულს.

მელუზინა

რა მოხდა, ასე რამ დამიფრთხო უეცრად
ძილი?

შვილო, გულ-მკერდზე დაგაბნია ლამემ
ყვავილი!

ასე საბრალოდ ვინ ჩურჩულებს, სიზმრის
ხმებია?

შვილო, გაზაფხულს ლალად ფრენა
მოსურვებია.

შეხედე! ცრემლით გაფითრებულს უგავს
იერი!

შვილო, უხვია ყვავილებით და ნებიერი!

ბაგე რად მეწვის? რატომ დამდის ღვარად
ცრემლები?

შვილო, მე შენში ჩემს სიცოცხლეს
ვეალერსები!

ვინ მბოჭავს ასე დაუნდობლად, თავს ვინ
დამყურებს?

შვილო, ეს მე ვარ, გულზე გიკრეფ სათუთად
ხელებს.

რა მშვენიერი სიზმარია! სად მიმელიან?
შვილო, ზეცისკენ მივიჩქარით, იქ მიგელიან.

რა საამოა! რა საამოა! ასე უჩუმრად ვის
ელიმება?
სულ გაუთეთრდა უკვე თვალები -

ერთბაშად ჩაქრა ყველა სანთელი,
სახლს დაეუფლა ღამე შავბნელი.

გვრინი

ჩემი სატრფო, მთვარენათელ ბაღებში რომ
დაკუნტრუშებს
ზურმუხტისფერი ყვავილების ფრიალ-
ფრიალით!
ო! რა მხურვალებს იქ, ურთხელის ღობეთა
მიღმა!
ოქროვანი პირი, რომელიც ჩემს ბაგეებს
შეეხება,
ისინი კი აუღერდებიან, ვით ვარსკვლავები
ქედრონის წყალზე.
მაგრამ ვარსკვლავთა ნისლეული ველობის
თავს დაეშვებიან,
როკვა ველური, გამოუთქმელი.
ო! სატრფოვ ჩემო, ბაგენი შენნი,
ბრონეულის ბაგენი შენნი,
შემწიფდებიან ჩემს ბროლიად
პირნიჟარასთან.
ველობის ოქროს მდუმარება
ჩვენსა ზედა მძიმედ ივანებს.
ცისკენორთქლდება
ჰეროდესგან დახოცილი
ბავშვების სისხლი.

უფრო და უფრო მატად პერსონალის

ქარი, ძონისფერ კენწეროებს რომ შეაქანებს,
უფლის სუნთქვაა, დაპპერავს და
უჩინარდება.

შავი სოფელი ტყის კალთასთან უეცრად
ჩნდება;
სამი აჩრდილი გასწოლია ნათეს-ნახნავებს.

მწირი ნათებით საცნაური არის ხეობა,
შემოგარენი ჩაძირულა მდუმარებაში.
და ამ სიმკაცრეს თითოეულ ბალსა თუ
სახლში,
მსურველს, რომ ასე გაილიოს ამ დღის
დღეობა,

მორჩილი, ბნელი ორლანის ხმა მიესალმება.
იქ ტახტზე მკვიდრობს მარიამი, ლურჯად
მოსილი,
მის მკლავებში კი დარწეულა სათუთად
ჩვილი.
ხანგრძლივი, ვარსკვლავმდიდარია ღამის
ნათება.

დელირიუმი

დრო სახურავთა, შავი თოვლით
დამძიმებულთა;
წითელი თითი შუბლს გიხვრეტს და შიგ
იძირება,
შიშველ ოთახში ეშვებიან ლურჯი ფირნები,
დადუმებულან სარკები შეყვარებულთა.
ტყდება თავი და, ნამსხვრევებად
მიმონაყარი,
ლურჯი ფირნების სარკეში ჭვრეტს საზარელ
ჩრდილებს,
მკვდარი მეძავის ცივ ღიმილსაც ვერ
აიცილებს.
ტირის მიხაკთა ნელსურნელში მიმწუხრის
ქარი.

პველი ჭის პირთან

მე-2 რედაქცია

წყლის ბნელი აზრი: სიღამის პირში
ნამსხვრევებად ქცეული შუბლი,
შავ ბალიშში მოქვითინე მტრედისფერი
ჩრდილი ყმაწვილის,
ნეკერჩხლის ჩქამი, ნაბიჯები ძველისძველ
პარკში,
ხვეულ კიბეზე განლეული კამერული
კონცერტები,
შესაძლოა - მთვარე, რომელიც საფეხურებს
უჩუმრად ავლის.
ხოლო ჩაქცეულ ეკლესიაში - მონაზონთა
სათუთი ხმები,
ცისფერი მოთხე, ნელი-ნელ რომ განიხვნება,
ვარსკვლავები, შენს გამხმარ ხელებს
მიმობნეული,
შესაძლოა - სიარული მიტოვებულ ოთახთა
გავლით,
ცისფერი ჰანგი ფლეიტისა თხილის
ბუჩქნარში - ხმამინავლული.

ქველ ბალს ეტრფის მდუმარება განსვენებულის...

ძველ ბალს ეტრფის მდუმარება
 განსვენებულის,
 შეშლილი ქალის, ლურჯ ოთახებში რომელიც
 სახლობს,
 საღამოჟამს სარკმელთან უტყვი ფიგურა
 ჩნდება.

მაგრამ მან ამ დროს გაყვითლებული ფარდა
 დაუშვა -
 გაგორებულმა მძივის მარცვლებმა
 მეხსიერებას ჩვენი ყრმობა წარმოუჩინეს,
 ღამღამობით ტყეში შავ მთვარეს
 აღმოვაჩენდით.

აუღერებულა უკვე სარკის სილურჯეში ნაზი
 სონატა.
 ხანგრძლივი ხვევნა-ალერსი კი
 თანხლებულია სულისმღაფავ ბაგეებზე
 დამთოვარი მისი ღიმილით.

ლურჯმა ღამემ უნაზესად გაანათა ჩვენი შუგლები...

ლურჯმა ღამემ უნაზესად გაანათა ჩვენი¹
შუბლები.
გამოხრწილი ჩვენი ხელები ეხებიან
უჩუმრად ერთურთს.
ტკბილი საცოლე!

გაგვფითრებოდა იერსახე, ხოლო მთვარის
მარგალიტები
ტბორის მწვანე ფსკერზე ლხვებოდნენ.
გავქვავებულვართ, ვაკვირდებით ჩვენივ
ვარსკვლავებს.

ო, სატანჯველი! ბაღში ცოდვილნი
ეხეტებიან,
ისე ველურად ჩაწნულნი აჩრდილთ,
რომ უძლეველი მრისხანებით იწევდა მათკენ
ხე და ნადირი.

მსუბუქნი კეთილხმოვანებანი, ბროლის
ტალღებით
წყნარ ღამეში როცა მივქრივართ.
შეყვარებულთა აკლდამებიდან ვარდისფერმა
ანგელოზმა გამოაბიჯა.

ო, პინადრობა შეგიძლი ბალის დუმილი...

ო, ბინადრობა შებინდული ბალის დუმილში,
ოდეს დის თვალნი სიბნელით და
გაკვირვებით განიხვნენ ძმისად,
და ძონისფერი დამსხვრეულთა მისთა ბაგეთა
გალხვა მიმწუხრის სიგრილეში.
გულსაკლავი დრო.

სექტემბერმა ოქროს მსხლები ჩამოამწიფა.
გუნდრუკის სიტყბო,
და ძველ ღობესთან – გეორგინა აალებული.
თქვი! სად ვიყავით, როს შავი ნავით
მივლივლივებდით შემწუხრების ჟამს,

მალლა კი წერო მილივლივებდა.
შემოჭდობოდნენ
გათოშილნი მკლავნი სიშავეს, რომელშიც
სისხლი ედინებოდა.
სველი სილურჯით მოცული ჩვენი
საფეთქლები. საბრალო ბალლი.
ღრმა ჩანაფიქრით გამოიმზერს ბნელი სქესი
მცოდნე თვალთაგან.

მწუხარის ჟამს

ბილიკი, ლურჯი ნაკადული და მწუხარის ჟამი
ჩაქცეული ქოხმახების არემარები.
ბავშვები ლურჯი და წითელი ბურთულებით
თამაშობენ დაბურული ბუჩქების უკან;
მათგან არაერთს ეცვლება სახე და
წაბლისფერ ფოთლეულში ხელი ულპება.

ძვლებადქცეულ სიჩუმეში მარტოსულის
გული ელვარებს,
მრუმე წყლებზე ნავი ირწევა.
დაბურული კორომიდან წაბლისფერი
მოახლეების თმა და სიცილი გამოანათებს.

ეჯვარებიან მოხუცებულთა აჩრდილები
პანაწინა ფრინველის ფრენას;
საცნაურია მათ საფეთქლებზე საიდუმლო
ლურჯთა ყვავილთა.
სხვებს, შავ მერხებზე ჩამომსხდარებს,
მწუხარის ქარი მიმოაქანებს.

წაბლის ხის შიშველ ტოტებს შორის
უხმაუროდ ჩაქრებიან
ოქროვანი ამოოხვრანი; ზაფხულის ბნელი

წინწილების ხმოვანება,
უცხოროცა გამოჩინდება ჩაქცეულ კიბის
საფეხურებზე.

დაიკოს ბალი

მე-2 რედაქცია

დაიკოს ბალი, რიდს, სიჩუმეს ნაზიარები, ორი ყვავილი: ლურჯ-წითელი, ნაგვიანევი. ნაბიჯი მისი – თეთრად ქცეული. შაშვის ძახილი, დაბნეული, ნაგვიანევი, დაიკოს ბალი, რიდს, სიჩუმეს ნაზიარები; ის ანგელოზად არის ქცეული.

ქარი, თეთრი ხმა, დაბანგულის საფეთქელთან რომ ჩურჩულებს...

მე-2 რედაქცია

ქარი, თეთრი ხმა, დაბანგულის
საფეთქელთან რომ ჩურჩულებს;
შმორიანი ბილიკები. მწუხრის ზარები
ტბორის ლამში ერთობ დიდხანს
იძირებოდნენ
და იხრებიან მათკენ ყვითელი ყვავილები
შემოდგომისა, ღამურები ლიცლიცებენ
შეშლილი სახით.

სამშობლო! მწუხრის ვარდისფერი მთიანეთი!
ცხრომა! სიწმინდე!
ძერის კივილი! ცა ეულად ჩამობნელდება,
თეთრი თავი ჩაეცემა ტყის პირას მძლავრად.
დაბურული ხევებიდან ღამე ამოვა.

მძინარის ირგვლივ ირწევიან ფხიზლად
ბავშვური მზესუმზირები.

ასერიგ წყნარად უღერენ მიმწუხრზე...

ასერიგ წყნარად უღერენ მიმწუხრზე
ლურჯი ჩრდილები
თეთრ გალავანთან.
შემოდგომა უხმაუროდ მიიწურება.

უსასრულო დარდის ჟამი,
თითქოს შენი სიკვდილი მეგზნოს.
ვარსკვლავური ნამქერია,
რაც შენს თმაში ქრის.

ბნელ საგალობლებს
გალობენ ჩემში ძონისფერნი ბაგენი შენნი,
ჩვენი ბავშვობის მდუმარე ქოხი,
ლეგენდები დავიწყებული;

თითქოს ვსახლობდე - სათუთი მხეცი -
გრილი წყაროს
ბროლის ზვირთებში
და ყვავილობდნენ ირგვლივ იები

დაბურული ტოტებიდან გაზაფხულის ცვარ-ნამი...

დაბურული ტოტებიდან გაზაფხულის ცვარ-
ნამი

წვეთავს, ვარსკვლავთა სხივით
მოდის ღამე, როს ნათელი დაგვიწყებია.

შენ ეკალ-ბარდის თაღქვეშ იწექ და ბროლის
ტანში

ეკალს ისე ღრმად შეეღწია,
რომ ცეცხლოვანი იყო ქორწილი სულის და
ღამის.

პატარძალმა ვარსკვლავებით მოირთო თავი,
უმანკო მურტმა,
დადრეკილმა გარდაცვლილის მავედრებელ
სახე-იერთან.

მოყვავილე სუსხით აღსავსე,
ბოლოს და ბოლოს, ღვთისმშობლის ლურჯი
სამოსელი მოგებურება.

ო, განფოთლილი ნიფლები და მოშავო თოვლი...

ო, განფოთლილი წიფლები და მოშავო თოვლი.
წყნარად ქრის ქარი ჩრდილოეთის. ეს

წაბლისფერი ბილიკი იყო,
რომელზეც მთვარის ამოსვლამდე ვლიდა
სიბნელე

მარტოდმარტო შემოდგომის უამს. კვლავ და
კვლავ ათოვს
შიშველ ტოტნარს
მშრალ ლელიანში; მწვანე ბროლის სიმღერა
ტბორში.

ცარიელია ჩალის ქოხი; ბავშვურია
ლამის ქარში მოშრიალე არყის ხეები.
ო, გზა, სიბნელეს უჩუმრად რომ შეეთოშება.
და საყუდარი ვარდისფერ თოვლში

ზამი გლოვისა

შებნელებული ნაბიჯები შემოდგომის ბალში
თან სდევენ
კაშკაშა მთვარეს,
ხოლო გაყინულ გალავანთან ეშვება
ყოვლისმომცველი ღამე.
ო, ეკლიანი ჟამი გლოვისა.

ოთახში, ბინდს რომ აღუვსია, მარტოსულის
სანათური ვერცხლისფრად ბჟუტავს,
სულისმღაფავი, რამეთუ იგი ბნელს
გაიაზრებს
და წარმავალისკენ მიდრეკილა ქვოვანი თავი,
ღვინით და ღამის ჰარმონიით ბანგმორეული.
მიწყივ და მიწყივ დაატკბობს სმენას
თხილნარში შაშვის ნაზი გალობა.

ბნელი ჟამი კრიალოსნით ლოცვის აღვლენის.
ვინ ხარ,
ფლეიტავ მარტოსულო,
გათოშილო შუბლო, წევნილო უკუნ
დროებებს.

ლაგუზლი მოთხოვა

მე-2 რედაქცია

ლამე ლამაზი ვარსკვლავებით
გამოუჩნდა მიმორეულ შუბლს,
ტკივილით ჩამოქვავებულ იერს,
შეყვარებულის გული ერგო საზრდოდ ველურ
მხეცს,
ცეცხლოვანი ანგელოზი
დამსხვრეული მკერდით ემხობა ქვოვან
ნათესში,
ძერა ფრთებს შლის ისევ და ისევ.
მწუხარება უსასრულო მოთქმით ერთვის
ცეცხლს, მიწას და ცისფერ ნაკადულს.

თხოვნა

მე-3 რედაქცია

ლუციფერს

სულს შეაწიე შენი ცეცხლი, მხურვალე
დარდი;
შუალამის ჟამს თავი ოხვრით ამაღლებულა,
გაზაფხულის მწვანე გორაკზე; იქ, სადაც
ერთ დროს
დაიცალა სისხლისგან კრავი, უღრმეს
ტკივილს
დაითმენს იგი; მაგრამ სიბნელე თან სდევს
აჩრდილს
ბოროტეულის, ან მიესწრაფის სველი
ფრთებით
მზის ოქროს დისკოს, და შეაძრნუნებს
ტკივილებით დაფლეთილ მის მკერდს ზარის
გუგუნი,
შლეგი იმედი; ალმოდებული ვარდნის
წყვდიადი.

მწუხარის ჟამს

მე-2 რედაქცია

ბალახი ჯერაც ყვითელია, ტყე კი არის ლეგა
და შავი;
მაგრამ მწუხრის ჟამს თავს არ მალავს
ზუსმუხტისფერი.
მთებიდან მოდის კამკამა და ცივი მდინარე,
შლერს კლდეებს შორის შემალული; სწორედ
იგი შლერს,
როცა სავალს მიჰყვები მთვრალი;
სილურჯეში
შენი შლეგი გასეირნება; და ჩიტუნების
თავბრუდამხვევი ჟივილ-ხივილი.
და უკვე ერთობ ბნელად, უფრო ძლიერ
იხრება
შუბლი მოლურჯო წყლის თავს, ქალურის;
ჩამავალი კვლავაც მწუხრის მწვანე
ტოტებში.
ნაბიჯი და მწუხარება ერთსულოვნად
ხმოვანებენ ძონისფერ მზეში.

ნითელ სახეებს შთანთქავს ღამე...

ნითელ სახეებს შთანთქავს ღამე,
ხაოიან გალავანთან
ბავშვის ჩონჩხი ხელს აცეცებს ჩრდილში
მთვრალისა, დამსხვრეული სიცილ-ხარხარი
ღვინოში, დარდი მოვარვარე,
სულის ტანჯვანი - ქვასავით უტყვად
დაშთენილა
ანგელოზის ცისფერი ხმა
მძინარის ყურში. ჩაშლილი შუქი.

ფსალმუნი ||

მყუდროება; შემოდგომურ გალავანთან
თითქოს ბრმანი წარცემულანო,
ფუტუროდქცეულ საფეხქლებით ყვავთა
ფრენას ყურმიგდებულნი;
ოქროვანი მყუდროება შემოდგომისა,
მცხრალი მზის შუქით ანთებული მამის იერი.
დაისის ჟამზე ჩაიქცევა ძველი სოფელი, რუხი
მუხების მშვიდობით რომ გარემოცულა.
მჭედელთა წითლად უროსცემა, ძგერა
გულისა.

მყუდროება; მსახური გოგო აუჩქარებელ
ხელებში მალავს სუმბულის შუბლს
მოფრთხიალე მზესუმზირებქვეშ.

დამსხვრეულ თვალთა
ძრწოლას და დუმილს აღუვსია ოთახი
ნათელგანრინებული, და – ფრთხილ
ნაბიჯებს
დედაბერთა, წყევლა-კრულვას ალისფერი
ბაგებისა, ნელი-ნელ რომ ქრებიან ბნელში.

უტყვი საღამო ვენახებში. ჭერდაბალი
სახურავის კოჭებიდან
ჩამოვარდა ღამის ფარვანა, მოლურჯო ძილში
დაფლული ნიმფა.

მოჯამაგირე კრავს ეზოში ყელს
გამოლადრავს, სისხლის სურნელი
მოეღრუბლება ჩვენს შუბლებს და - ჭის ბნელ
სიგრილეს.

ქარდაქარ ხმანი ოქროვანნი, თანაზიარნი
მომაკვდავთა ასტრათა დარდის.
როცა ლამდება, გამოხრწნილი თვალებიდან
მომჩერებიხარ,
ლურჯ სიჩუმეში მტვრად ქცეულან შენი
ლაწვები.

ასერიგ წყნარად ინავლება სარეველა
ბალახის ცეცხლი, დამუნჯებულა ველად შავი
გოჯასოფელი,
ქვე ეშვებოდეს თითქოს ჯვარი ლურჯ
გოლგოთიდან,
თითქოს მდუმარე დედამინას თვისნი
მკვდარნი აღმოეყაროს.

სიცოცხლის ხანა

გონის მისარგო არის ველურ
ვარდთა ნათება ბაღის ღობესთან;
ჰოი, სული გარინდებული!

ნეტარებს ვაზის გრილ ფოთლებში
მზე ბროლიადი;
ჰოი, წმინდა უმანკოება!

კეთილშობილი ხელით ეხება
ბერიკაცი მწიფე ნაყოფებს.
ჰოი, მზერა სიყვარულისა!

მზესუმზირები

ოქროვანო მზესუმზირებო,
მთელი არსებით სიკვდილისკენ
გადახრილებო,
მოკრძალებით აღსავსე დებო,
ასევითარ სიჩუმეში
განილევა მთიურ სიგრილის
წელიწადი ჰელიანისა.

აქ უფითრებენ კოცნანი
მთვრალ შუბლს,
მწუხარების ამ ოქროვან
ყვავილთა შუაგულ
სულს დაადგენს
უტყვი წყვდიადი.

სარჩევი

მუსიკა მირაბელის ბალში	5
მწუხრის მელანქოლია	7
მშვენიერი ქალაქი	9
მიტოვებულ ოთახში	11
ავდრიანი მიმწუხრი	12
შემოდგომაზე	13
ჩემი გული საღამოობით	14
გლეხები	15
სიცოცხლის სული	17
გასხივოსნებული შემოდგომა	18
ტყისპირი	19
სამახსოვრო ჩანაწერების ძველ წიგნში	21
გარდასახვა	22
კაცობრიობა	23
De profundis	24
ვირთხები	26
ნაშუადლევს ნაჩურჩულევი	27
ფსალმუნი	28
კრიალოსნის საგალობლები	32
დისადმი	32
სიკვდილის სიახლოვე	33
ამინ	34
მწუხრის სიმღერა	35
ღამის სიმღერა	37

ჰელიანი	38
ბავშვობა	45
უამნი	47
გზად	49
სანახი	52
ყრმა ელისისადმი	53
ელისი	55
ჰოპენბურგი	58
სებასტიანე სიზმრად	59
ჭაობთან	64
გაზაფხულზე	65
საღამო ლანსში	66
ბერთამთაზე	67
კასპარ ჰაუზერის სიმღერა	68
ლამით	70
სონია	71
სიმშვიდე და მდუმარება	72
ანიფი	73
დაბადება	75
აღსასრული	76
სიყრმის უამს გარდაცვლილისადმი	77
მწუხრი სულისა	79
ჩამავალი მხარის სიმღერა	80
ფერისცვალება	82
თბილი მშრალი ქარი	83
მგზავრი	85
კარლ კრაუსი	87

დადუმებულთადმი	88
ვნება	89
სიკვდილის შვიდხმიანი საგალობელი	91
ზამთრის ღამე	93
ვენეციაში	95
განსაწმენდელი	96
მზე	98
დატყვევებული შაშვის გალობა	99
ზაფხული	100
ზაფხულის მიწურული	101
წელიწადი	102
დაისის მხარე	103
სულის გაზაფხული	106
ბნელში	109
მიცვალებულის გალობა	110
ჰელბრუნში	112
გული	113
ძილი	115
ავდარი	116
საღამო	118
ღამე	119
ნაღველი	121
შინ დაბრუნება	123
აღმოსავლეთში	124
გვრინი	125
გროდეკი	126
განთიადის სიმღერა	128

სიზმრადმარები	130
სული ღამისა	131
მელუზინა	133
გვრინი	135
უფრო და უფრო მეტად ბნელდება	136
დელირიუმი	137
ძველი ჭის პირთან	138
ძველ ბალს ეტრფის მდუმარება...	139
ლურჯმა ღამემ უნაზესად...	140
ო, ბინადრობა შებინდული ბალის...	141
მწუხრის ჟამს	142
დაიკოს ბალი	144
ქარი, თეთრი ხმა...	145
ასერიგ წყნარად უღერენ მიმწუხრზე...	146
დაბურული ტოტებიდან...	147
ო, განფოთლილი წიფლები...	148
ჟამი გლოვისა	149
ღამეული მოთქმა	150
თხოვნა	151
მწუხრის ჟამს	152
წითელ სახეებს...	153
ფსალმუნი //	154
სიცოცხლის ხანა	156
მზესუმზირები	157



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4.

☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com;
gamomcemlobauniversali@gmail.com